საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეური სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიერებით ბეტონის გაფანა ყვეფა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

სამშაბათი, 22 აგვისტო. 2017 წ. №168 (8305), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რა შედეგს მივიღებთ, თუ თბილისის მერობის უალტერნატივო კანდიდატი კახა კალაძე ვერ გაიმარჯვებს?!

6

ილჰამ ალიევმა ხანძრის ჩასაქრობად ვერტმფრენები გამოგვიგზავნა

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მისცა მითითება, რომ საქართველოში ბორჯომ-ხარაგაულის პარკში, ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობის მიღების მიზნით ვერტმფრენი გამოაგზავნოს.

ინფორმაციის თანახმად ვერტმფრენები ქართველი მაშველების დასახმარებლად გუშინ ჩამოფრინდენენ და ენერგიულად ჩაერთვნენ სამაშველო ოპერაციებში.

ბორჯომში, გაზაფხულზე დარგული 30 ათასი ნერგის ნაწილი დაიწვა

ბორჯომში, სოფელ დაბაში ცეცხლი იმ ტერიტორიაზე გავრცელდა, სადაც კამპანია „აღადგინეს“ ფარგლებში, აგვისტოს ომის დროს გადამწვარი მწვანე საფარის აღდგენა მიმდინარეობდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, კამპანიის ორგანიზატორები სტიქიის ზონაში ჩავიდნენ და ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ განაცხადეს, რომ მცენარეების ნაწილი უკვე დაიწვა. კამპანიის ორგანიზატორის, სალომე კუკავას ინფორმაციით, გაზაფხულზე დარგული 30 ათასი ნერგის ნაწილი ახლაც იწვის.

„ერთადერთი ვერტმფრენი მუშაობს ძირითადად სოფლის მხარეს, მეორე მხარეს კი ვერ ექცევა ყურადღება. ჩვენ ველოდებით მითითებას, ისიც არ ვიცით, რა გავაკეთოთ, როგორ დავეხმაროთ. ძალიან ბევრი ადამიანი გვწერს, რომ სტიქიასთან ბრძოლაში ჩაერთვებიან, მაგრამ ვერაფერს ვაკეთებთ, უმოქმედონი ვართ, იმიტომ რომ სახანძრო სამსახურიც კი ვერ მუშაობს, რადგან პერიმეტრთან მიახლოება, ფაქტობრივად, შეუძლებელია“, – განაცხადა კუკავამ.

მისივე თქმით, სექტემბერში დაახლოებით 20 ათასამდე ხის დარგვა იგეგმებოდა.



5

რატომ უჭირავს ჭოგრიტი გიორგი მღებრიშვილს?!

მიშა, ოღრაშო, გითვალთვალებენ!..

ხალხის აზრი გადამწყვეტია!

3

ფული „ერროვნული ბოზებისთვის“

ზოგი ამომრჩეველი ასე ფიქრობს

თბილისს – კოლექტიური მერი

ალბათ, მსოფლიოს არც ერთ ქალაქში ნაგვის სახით იმდენი პრობლემა არ არის დაგროვილი, რამდენიც ჩვენ ნახოხბარ, ანუ ჩახოხბილი პრობლემების გორგასლის მიერ ლიბოჩაყრილ დედაქალაქში, რომელსაც ერთდროულად ამდენი სამერო ჭირისუფალი გამოუჩნდა.

როგორც ჩანს, ერთი კაცი თუ ერთი ქალი (ზევსის ძალისაც რომ იყოს!) ამხელა ქალაქის მომვლელად ვერ ივარგებს. მით უმეტეს, კალაძისგან განსხვავებით, უდუმაშვილსაც, ხოშტარიასაც და ელისაშვილსაც თბილისელები იცნობენ არა როგორც მეურნე ხალხს, არამედ, როგორც ენით მშენებელ ადამიანებს, რომლებიც ლამის 24 საათი ქუჩა-ქუჩა დადიან და პირდაპირ ლოკავენ ნარმანიასგან გაორმოებულ 1600 წლის დედაქალაქს, სადაც, სად არის თორემ, ალბათ, ერბო აიკრიფება, თუ ყველაფერი ისე აღსრულდა, რასაც გამერების (გათავკაცების თუ გათავქალების) ჟინით შეპყრობილი უდუმაშვილი, ხოშტარია და ელისაშვილი ასე გულუხვად გვპირდებიან კარგა გვარიანად ჯიბეგახვრეტილ თბილისელებს. თანაც, რაც მთავარია, თბილისელი გაფუფუნებული ჩინოვნიკების ხარჯზე თურმე პენსიაც გაგვეზრდება 10 ან 20 ლარით კი არა, მთელი 50 ლარით.

დიახ, დიახ, დედა გეტირებათ, ფულით მოკოჭავე თბილისელო ჩინოვნიკებო! როგორც კი ენადგაკრეფილ დიქტორ უდუმაშვილს, გაჟანადარკებულ ხოშტარიას ქალს და მატრაკვეცა ელისაშვილს ავირჩევთ, არა მარტო დასტა-დასტა ხელფასებს, არამედ ასევე დასტა-დასტა პრემიებსა და დანამატებსაც დაემშვიდობებთ! ახლა თქვენ იყავით უფულონი, ახალი მერები სწორედაც თქვენი ნაარამევი ფულით გაგვამაყუთიანებენ და თქვენსავით ღორებივით კი არ მოვიქცევით, ცოტას თქვენკენაც გადმოვისვრით.

ისე, რახან ყველანი, ანუ სამივენი, დედაქალაქის დასამშვენებლად და ჩვენს ასაშენებლად მოდიხართ, იქნებ ზოგიერთი გულუბრყვილო თბილისელის აზრის გათვალისწინება ურიგო არ გამოდგეს... ერთს რომ ორი სჯობს, ორს სამი და სამს კი ოთხი, ამას დიდი არითმეტიკა არ უნდა!..

ეს აზრი კი ასეთია... მერე რა ვუყოთ, რომ მსოფლიოს არც ერთ ქალაქს ერთდროულად სამი მერი არა ჰყავს, ჩვენ რომ გვყავდეს რა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გვიჩივლებს?! ან სულაც მთავარ მერად თუ კალაძეს ავირჩევთ, უდუმაშვილი, ხოშტარია და ელისაშვილი რა, თანამერებად მაინც არ ივარგებენ?!

ჩვენ, როგორც ყველაფრით გამორჩეული ერი, იმითაც გამოვირჩევით, რომ დედაქალაქში ერთი, მაგრამ კოლექტიური მერი გვეყოლება.

სად ერთს რომ მოსთხოვ პასუხს და სად ოთხს?! თანაც კოლექტიური პასუხისმგებლობა დაეკისრებათ!

მაშ, შევთანხმდეთ, არაერთხელ მამალი ტყუილი დაპირებებით გაბერილო თბილისელებო, ოქტომბერი უკვე კარზეა მომდგარი. აქედანვე გულზე ხელის ბრაგუნით მივესალმოთ თბილისის კოლექტიურ მერს!

ძრწოდეთ, ფულიანო ჩინოვნიკებო! გიხაროდენ, ამ უსინდისო ჩინოვნიკების ხარჯზე კოლექტიური მერისაგან გაფულიანებულო, გაზრდილი პენსიების მოლოდინში ფართოდ პირდაღებულო, ნახოხბარზე ალმოცენებულო ქალაქის შვილნო!

გურამ წიკლაური

„დემოკრატიული მოძრაობა“ და „თავისუფალი საქართველო“ გაერთიანდნენ!..

„დემოკრატიულმა მოძრაობამ“ და „თავისუფალმა საქართველომ“ თბილისის მერობისა და საკრებულოს თავმჯდომარეობის ერთიანი კანდიდატები დაასახელეს. გაერთიანებული პარტიების მერობის კანდიდატი კახა კუკავა იქნება, საკრებულოს თავმჯდომარეობის კი — დიმიტრი ლორთქიფანიძე. პრესკონფერენცია გუშინ ნინო ბურჯანაძემ ჩაატარა და განაცხადა, რომ გაერთიანებულმა პოლიტიკურმა ძალებმა პარტიული ინტერესები ერთიანობისთვის უკან გადადეს და გამარჯვებას ვარაუდობენ..

„ჩვენი ოპოზიციური ერთობისთვის კარი კვლავ ღიაა. ეს არ ეხება „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“, — დასძინა ბურჯანაძემ.

ოპოზიციის პასუხი უმრავლესობას

ოპოზიციის საპასუხო წერილი მმართველ გუნდს. წერილი საპარლამენტო უმრავლესობას გუშინ გაეგზავნა და მასში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა აზრი, რომ მთავარი მოთხოვნა 2020 წლისთვის არჩევნების მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლაა. ოპოზიციური პარტიის ლიდერები მოითხოვენ პროცესი დაუბრუნდეს პირველად ვარიანტს, რომელზეც საკონსტიტუციო კომისია მუშაობდა.

„ჩვენ ვთხოვთ მათ ძალიან მკაფიო და მარტივ რაღაცას, დაბრუნდეს ყველაფერი იმ მოცემულობაში, როგორც ეს განიხილა ვენეციის კომისიამ, განიხილა საერთო სახალხო განხილვებზე მათივე მოყვანილმა ხალხმა. ეს ყველაფერი მათთვის ისედაც ცნობილია. კიდევ რომ არ დაგვწამონ არაკონსტრუქციულობა, რომ არ დაგვწამონ დესტრუქციულობა, რაც ხშირად გაუკეთებიათ იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება შემჩნეულია ტყუილებში, მათ კიდევ ერთხელ გავუგზავნით ძალიან მკაფიო, აი — იასავით ნათელ და არაორაზროვან ჩამონათვალს ჩვენი მოთხოვნებისა,“ — განაცხადა ნიკა რურუამ.

რკინიგზელები ხალხმრავალ აქციას აანონსებენ

საქართველოს რკინიგზის შენობასთან უკვე ერთი კვირაა, რკინიგზელები შიმშილობენ. მათი თქმით, დღეიდან მოშიმშილეთა რაოდენობა გაიზრდება და გაფიცულებს რეგიონებიდანაც შეუერთდებიან.

გაფიცულების მთავრ მოთხოვნას — სამუშაო უფლებების დაცვას, რკინიგზის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის დაჩი ცაგურიას გადადგომის მოთხოვნაც დაემატა. მათი განცხადებით, ცაგურია უკვე წლებია, საკუთარ უფლებამოსილებას ამეტებს. გარდა ამისა, რკინიგზელები ამბობენ, რომ სამტრედიაში რკინიგზას კი რეალურად, ცაგურიას მამა, ადგილობრივი გამგებლის წარმომადგენელი, თენგიზ ცაგურია აკონტროლებს. დაჩი ცაგურია მის წინააღდეგ გაჟღერებულ ბრალდებებს არასერიოზულს უწოდებს და ამბობს, რომ პროტესტის ორგანიზატორი პროფკავშირების თავმჯდომარეა, რკინიგზელები კი მხოლოდ შემსრულებლები.

„კოლხობა 2017“ — აჭარაში

აჭარაში კიდევ ერთი სახალხო დღესასწაული „კოლხობა 2017“ აღინიშნა. **კოლხობას ტრადიციულად ისტორიული ლაზეთის ნაწილში, სარფისა და გონიოს ტერიტორიაზე ზეიმობენ და მასში მონაწილეობას ღებულობს როგორც ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ფოლკლორული ჯგუფები.**

სარფის ულამაზეს სანაპიროზე წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის ნიმუშები და ლაზური ტრადიციებისა და სამზარეულოს ამსახველი კუთხეები.

კოლხობის დღესასწალი ლაზებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მეუღლესთან ერთად მიულოცა. ღონისძიებას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბორჯომში 5 ჰექტარის ფართობის ტყის მასივი დაიწვა! ხანძარი ლოკალიზებულია

ბორჯომის სოფელ დაბაში არსებული ხანძარი ლოკალიზებულია. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ცნობით, დამწვარია 5 ჰექტარის ფართობის ტყის მასივი.

ცნობისთვის, ხანძარი ბორჯომში, სოფელ დაბასთან გუშინ გაჩნდა. ცეცხლი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გადამწვარ ტერიტორიას გაუჩნდა. ღამით იყო ძლიერი ქარი, რის გამოც, ხანძრის ლოკალიზება ვერ მოხერხდა.

ისნის ბაზრობაზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ

ისნის ბაზრობაზე დამწვარი ობიექტების აღწერა მიმდინარეობს — ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ. ერთ-ერთი დაზარალებულის თქმით, მისი ზარალის ოდენობა 20-25 ათას ლარს აღწევს.

ამ ეტაპზე ბაზრობაზე დაახლოებით ხუთი მაღაზიაა აღწერილი. შეგახსენებთ, რომ ხანძარი ისანში, ე.წ. დაშლილების ბაზრობაზე, სადაც მეორად ავტონაწილებს ყიდიან, 19 აგვისტოს გაჩნდა.

ირინა სარიშვილმა მე-7 შვილი აიყვანა

ირინა სარიშვილმა მე-7 შვილი აიყვანა, — ამის შესახებ ის სოციალურ ქსელში წერს.

„ტყუპებთან როცა დავდიოდი ბავშვთა სახლში, იქ ერთი პატარა ბიჭუნა იყო, 5 თვით გოგოებზე დიდი, მათსავით მზის შვილი. შევედი თუ არა, პირველად მან გამიღიმა და იმის მერე თვალს არ მაშორებდა, სულ მიღიმოდა. ჩემი გოგოები მაშინ პატარები იყვნენ, სუსტები და თითქმის სულ ეძინათ. სანამ გაიღვიძებდნენ, სულ ამ პატარა პრინცს ვეთამაშებოდი.

როცა გოგოები სახლში გამომყავდა, ფეხები უკან მრჩებოდა... ცოტა გაციებულივით იყო ჩემი მზის ბიჭუნა და ვერც ჩავეხუტე წესიერად, ტყუპებისთვის რომ არ გადამედო... ერთი ჩემთვის ჩავილაპარაკე, მე აქ მოვბრუნდები და თუ კიდევ აქ დამხვდები...

რამდენიმე ხნის შემდეგ მე და ჩემი უფროსი ბიჭი ბავშვთა სახლში წავედით. გოგოებს იმდენი ტანსაცმელი დაუგროვდათ, რომ შუაზე გავყავით და იქ წავიღეთ. შევედი თუ არა, ის ბიჭუნა ვიკითხე. აღარ იყო ისეთი მხიარული როგორც ადრე. ხელშიც როცა ავიყვანე, ბევრად უფრო მოდუნებული იყო ვიდრე მაშინ, როცა ვეთამაშებოდი. არა იმიტომ რომ მოვლა აკლდა. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: არ ვიცი, ადრე რა იყო, მაგრამ ახლა არაჩვეულებრივი აღმზრდელები არიან ბავშვთა სახლში, ძალიან უყვართ ბავშვები და არაფერს აკლებენ. უბრალოდ ყველა ბავშვს ჭირდება სახლი, სხვა სითბო და უპირობო სიყვარული, რისი მიცემაც მხოლოდ მშობელს შეუძლია. დაუნის სინდრომიანი ბავშვისთვის კი, რომელიც უზარმაზარ სითბოს გასცემს, ამ ყველაფერს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. უდედოდ ისინი იკეტებიან საკუთარ თავში, უკან მიდიან და იფერფლებიან.

წამოვედი სახლში გულდამძიმებული. მერე მისი დაბადების დღე იყო და მივედი. ეს დღე ერთად გავატარეთ. და როცა იქიდან უკან ვბრუნდებოდი, უცებ ვიგრძენი რომ საკუთარ შვილს ვტოვებდი იქ და სხვა შვილებთან მივდიოდი. უსაზიზღრესი, დამანგრეველი გრძნობა, რომელმაც უცბად ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და თავის ადგილზე დააყენა. გაქრა კითხვები: შევძლებ? ვერ შევძლებ? როცა ამის ალტერნატივა შვილის მიტოვება აღმოჩნდა, რა თქმა უნდა, უნდა შევძლო და შევძლებ!

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, დღეს, სულ მალე ჩვენს უკვე მართლა დიდ ოჯახში ჩემი მეშვიდე შვილი — ბატონი ალექსანდრე შემობრძანდება! სანდრო 1 წლისაა. ვერ დადის. ვერ ლაპარაკობს. ხმასაც იშვიათად იღებს. უახლოეს ხანში მას განმეორებით ჩავუტარებთ ყველა გამოკვლევას, ყველაფერს დავაზუსტებთ და რისი მორევაც შესაძლებელია და გვიანი არ არის, ყველაფერს მოვერევით! აუცილებლად მოვერევით, ჩვენ უკვე ძალიან ბევრი ვართ და სულ ერთად ვიქნებით!

ჩემგან, ლუკასგან, ირაკლისგან, საბასგან, ბარბარესგან, მარიამისგან, სანდროსგან და ჩემი პაწაწუნა რიჟიკა გიორგისგან ყველას ძალიან დიდი მადლობა, ვინც გვერდით დაგვიდგა და დაგვეხმარა, რომ ერთად ვყოფილიყავით. დიდი მადლობა ყველას, ვინც დღეს ჩვენს ზეიმს უერთდება და ჩვენთან ერთად უხარია პატარა სანდროს შემობრძანება ჩვენს ცხოვრებაში“, — წერს ირინა სარიშვილი.

თბილისში საქართველო-ჩინეთის ბიზნეს-ფორუმი გაიმართა

2017 წლის 21 აგვისტოს, სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ საქართველო-ჩინეთის ბიზნეს-ფორუმი გაიმართა. ღონისძიება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა. ფორუმის ფარგლებში თბილისს ჩინეთის განსუს პროვინციიდან 80-მდე ბიზნესმენი ეწვია.

ბიზნეს-ფორუმი ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს, განსუს პროვინციის ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიზნეს-დელეგაციის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. ქართულ კომპანიებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ ბიზნეს-სექტორს ჩინეთიდან და სამომავლო თანამშრომლობის შესახებ ემსჯელათ.

ფორუმზე წარმოდგენილი იყო შემდეგი სფეროები: სოფლის მეურნეობა, სამთო მოპოვებითი მრეწველობა, ინჟინერია, ენერგეტიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტურიზმი, უძრავი ქონება, ავიაცია, ფარმაცევტიკა, სამშენებლო მასალები, ავტო ნაწილები, სპორტული დანადგარები, კერამიკა, ლოჯისტიკა, ქიმიური ნივთიერებები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სასტუმრო ინდუსტრია, სარწყავი მოწყობილობები. ღონისძიება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნატო ჩიქოვანმა და ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ ვუ ლისიამ გახსნეს. ფორუმის ფარგლებში გაკეთდა პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, რომელიც სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ წარმოადგინა. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ ასევე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, „საქართველოს რკინიგზისა“ და განსუს პროვინციის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ფორუმის ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ჩინეთის საერთაშორისო ხელშეწყობის საბჭოს განსუს კომიტეტს შორის. დოკუმენტის მიზანი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა და ამ მიზნით საერთო აქტივობების განხორციელებაა.

საქართველო ჩინეთში უმსხვილეს გამოფენაზე წარდგება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების ინიციატივით, 18-21 სექტემბერს, ჩინეთში, ქალაქ სიამენში, უმსხვილესი საერთაშორისო საინვესტიციო და სავაჭრო გამოფენა (China 6nternational Fair for 6nvestment & Trade) გაიმართება, სადაც საქართველოს მოწვეული საპატიო ქვეყნის სტატუსი მიენიჭა და განსაკუთრებული საგამოფენო სივრცე გამოეყო.

აღნიშნული გამოფენის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ენერგეტიკის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანაორგანიზებით დაგეგმილია საქართველოს პოტენციალის წარმოჩენა სხვადასხვა ჭრილში, რაც უმთავრესად საქართველოს ბიზნესკლიმატის, საინვესტიციო და სავაჭრო შესაძლებლობების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ გამოფენის პირველ დღეს, 18 სექტემბერს გაიმართება საქართველო-ჩინეთის ბიზნესფორუმი, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი გახსნიან.

საქართველოსთვის გამოყოფილ საგამოფენო სივრცეში განთავსებული იქნება როგორც სამთავრობო პროგრამების განმახორციელებელი უწყებების, ასევე საინვესტიციო, ექსპორტიორი და ღვინის მწარმოებელი კომპანიების სტენდები, სადაც თითოეულ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, გაესაუბროს ქართული კომპანიებისა თუ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს და მიიღოს მისთვის საჭირო დეტალური ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარები, რომლებიც თავიანთ საექსპორტო პროდუქციას ფართო საზოგადოებას გააცნობენ და საშუალება ექნებათ მჭიდრო ბიზნესკავშირები დაამყარონ საერთაშორისო მსხვილ კომპანიებთან.

გამოფენის ფარგლებში ასევე გაიმართება მაღალი დონის სამთავრობო შეხვედრები, ორმხრივი სესიები კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის და ბევრი სხვადასხვა ღონისძიება, რაც საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას შეუწყობს ხელს.



ფული „ეროვნული ბოზებისთვის“

ყველა „ეროვნული ბოზი“, ე.წ. „ევროპიკოსი ჭარბეებიდან“ დაწყებული, თინა ბახტაძით დამთავრებული, მე ვფიქრობ, უნდა დაფინანსოს?

ზვიადი ფეიქრიანი.

ყველამ კარგად იცის, რომ მიუხედავად იმისა ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში აქტიურად არ ერთვება, „ქართული ოცნების“ სრული გამარჯვება გარდაუვალია და ის შედეგი, რაც მოქალაქეთა კავშირს 2001 წელს, შევარდნაძის „განდგომის“ შემდეგ დაემართა, არანაირად არ განმეორდება!

ამ წერილს ყოველგვარი ზედმეტი ლირიკული შესავლის გარეშე დავიწყებ და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უამრავი პოლიტიკური, თუ არასამთავრობო ორგანიზაცია არის დარეგისტრირებული და მთელი საინფორმაციო სივრცე მათ ხელშია, პირდაპირ ვიტყვი, რომ საქართველოში არანაირი პოლიტიკური თუ სამოქალაქო ცხოვრება არ არსებობს და მთელი ეს ველი მხოლოდ და მხოლოდ ფულის შოვნაზეა გადასული.

პოლიტიკური ცხოვრებისა და მისი განვითარების მხრივ, დღეს საქართველოში საკმაოდ საშიში მდგომარეობაა. საშიში მდგომარეობაა იმ უმარტივესი, მაგრამ გამოუსწორებელი მიზეზის გამო, რასაც ე.წ. პოლიტიკური სპექტრი და ე.წ. სამოქალაქო საზოგადოება ჰქვია.

უკაცრავად, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიგე, თუ რატომ არიან „ჩართულნი“ საქართველოს უმაღლესი კანონის, კონსტიტუციის შემუშავებაში ის ადამიანები, რომლებმაც მთელი თავიანთი განვლილი ცხოვრების მანძილზე დაამტკიცეს, რომ არამც თუ საკანონმდებლო მუშაობა, არამედ ორი ბატის მომწყემსვაც არ შეუძლიათ.

პირადად ჩემთვის, ძალიან შეურაცხმყოფელია ის, რომ თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებებიდან ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციებისა“ და ე.წ. „პოლიტიკური პარტიების“ წარმომადგენლები ღაღადებენ. ის წარმომადგენლები, რომლებსაც ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის თითი თითზე არ დაუდვიათ და მთელი მათი „მოღვაწეობა“ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მოპოვება, ანუ „ფულის შოვნა“ და არადემოკრატიული, აგრესიული და ნორმალური ადამიანისთვის ყოვლად მიუღებელი ცხოვრების წესის დამკვიდრება იყო.

მაინტერესებს, რა კრიტერიუმით ირჩევიან და ვინ აძლევს უფლებას ამ ხალხს, მოგვევლინონ ქვეყნისთვის, ჩვენი მომავლისთვის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი კანონის შემოქმედად და მაინტერესებს, ხელისუფლება რატომ აქცევს მათს „ფარმაზონობას“ ასეთ დიდ ყურადღებას.

თუ არსებულ სიტუაციას „ვარდისფერი სათვალეების“ გარეშე შევხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ, ფაქტობრივად, მხოლოდ ორი პოლიტიკური მიმართულება არსებობს: ერთი ე.წ. აგრესიულ-ლიბერალური და მეორე ქართული, ეროვნული.

რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, აგრესიულ ლიბერალებში ერთიორი ვითომდა სახელმწიფოებრივი განცხადების მიუხედავად, მმართველი პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნებაც“ მოიაზრება და თქვენ წარმოიდგინეთ, იქაც უმცირესობას წარმოადგენს.

ეს სიტუაცია დასავლური პოლიტიკური აზროვნებისთვის მისაღებ ფორმას სრულად ეწინააღმდეგება და მას იურიდიულად აღრიცხული სუბიექტების რიცხოვნობა განსაზღვრავს, რაც ქვეყნის სამოქალაქო თუ პოლიტიკური განვითარებისთვის დამღუპველ ფორმად ჩამოყალიბდა.

კლასიკური განსაზღვრებით, პოლიტიკური პარტიის არსებობის მთავარი დანიშნულება არჩევნებში მონაწილეობა და გამარჯვების მოპოვებაა. ეს აქსიომა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ირღვევა ერთი მარტივი მიზეზის გამო: ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა არ წარმოადგენს იდეურ თანამოაზრეთა გაერთიანებას და წევრების სასაცილოდ მცირე რაოდენობა ჰყავთ.

ბუნებრივია, რომ ამ სიტუაციაში ტელეეკრანებსა თუ პრესის ფურცლებზე მოხვედრის ერთადერთი შანსი ბოიკოტის ხმამაღლა გამოცხადება და ამ ვითომდა პროტესტით საკუთარი არსებობის აღიარებაა.

„ქართული ოცნება“, თავისი ლიდერების მენტალობიდან, აზროვნების მიმართულებიდან და ხედვის ფორმიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება საქართველოს პოლიტიკური პროცესების მმართველი პოლიტიკური ძალის, „ევროპული საქართველოს“ მსოფლმხედველობით ჩარჩოში მყოფი ორგანიზაციისგან და თუ კარგად დავაკვირდებით, გადაქცეულია ისეთი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციად, როგორებიც არიან „საია“, „გამჭვირვალე საქართველო“ დ.ა.შ.

„ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, ვერ ფლობს ვერანაირ პოლიტიკურ ბერკეტს და მისი საკონსტიტუციო ამბიციები ემსახურება იმ ძალას, რომელიც სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს 2024 წლის არჩევნებზე, ხოლო 2020 წლის არჩევნებისთვის იქმნის საკმაოდ სერიოზულ პლაცდარმს.

ამის უმარტივეს მაგალითად შეგვიძლია დავიმოწმოთ ფრაზა, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრდა: **ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ორ ვადაზე მეტს ვერ ძლებს**.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დღეს საქართველოს მართავს არა პოლიტიკური პარტია, არამედ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მოქცეულია როგორც იდეოლოგიური, ასევე ფინანსური დონორის სრული გავლენის ქვეშ.

რაც შეეხება რეალურ იდეოლოგიას, რომელიც მსოფლიოში, ფაქტობრივად, მეოთხედი საუკუნეა მონათლულია როგორც არა „იდეოლოგია“, არამედ როგორც „მსოფლმხედველობა“, მთავარი წარმმართველი ძალა ე.წ. „ევროპული საქართველოა“, რომელიც რამდენადაც საოცარი არ უნდა იყოს, ტროცკისტული ბოლშევიზმის პირდაპირი მემკვიდრეა.

პირდაპირ ვიტყვი: დღეს კაცობრიობის და პირველ რიგში, საქართველოს უმთავრესი მტერი რუსეთი კი არ არის, უპირველესი გამანადგურებელი ე.წ. „ევროპულ საქართველოზე“ მიბმული სამოქალაქო სექტორი, ე.წ. არასაპარლამენტო ოპოზიცია და მმართველი პოლიტიკური ძალის ის წარმომადგენლები არიან, რომლებიც აგრესიული ლიბერალიზმის მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ.

თუ მათთან შეხება გქონიათ, ალბათ, დამეთანხმებით რომ ეს ხალხი, ანუ კოსმოპოლიტ-ლიბერალები ქართული ცნობიერების სრულ განადგურებას აპირებენ, გონებრივი, თუ ფსიქოლოგიური მოდერნიზაციის ნაცვლად. სახეზე გვაქვს მათი მხარდამჭერების და მათ დროს დაფრთიანებული თაობის გარკვეული, მაგრამ საკმაოდ გავლენიანი ნაწილის დეგრადაციის ნიშნები.

სქემატური აზროვნების, პრაგმატული განსაზღვრა: მიზანი ამართლებს საშუალებას, ამ ხალხში საფუძვლიანად არის ჩაბუდებული და მათი კარგად მომზადებული, ცალმხრივი მსჯელობის უნარით გაჯერებული ქცევა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ამ აგრესიულმა ლიბერალებმა გარკვეული მასიდან უსულგულო, ახალი ქართველი გამოიყვანეს.

დღეს საქართველოს უმთავრესი პრობლემა დაავადებული პოლიტიკური სივრცეა, რადგანაც ეს სენი საზოგადოებაში უმთავრესი პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას უშლის ხელს და ის ენერგია, მუხტი, თუ ძალა, რაც ქვეყნის აღმშენებლობისკენ უნდა იყოს მიმართული, ყალბი ფასეულობების უშედეგო რეალიზებას ხმარდება.

პრობლემის გადაჭრა ჯერჯერობით კიდევ შეიძლება. შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით, რომელზეც წარმოდგენილი პოლიტიკური ძალები, აქამდე „ყველას მინუს ერთის“ პრინციპით იყვნენ მომართულნი, ანუ მთელი „ნაციონალური“ სპექტრი მიმართული იყო მმართველი გუნდისა და მისი მთავარი წარმომადგენლის, თბილისის მერობის კანდიდატის კახი კალაძის წინააღმდეგ.

ამ „ერთიანობას“ საკმაოდ სერიოზული მიზეზი გააჩნია და ეს მიზეზი „მეორე ადგილია“. ადგილი, რომლის დათრევა და შემდგომ „მეორე პოლიტიკური ძალის“ სახელით აპელირების უფლებაა.

ყველამ კარგად იცის, რომ მიუხედავად იმისა ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში აქტიურად არ ერთვება, „ქართული ოცნების“ სრული გამარჯვება გარდაუვალია და ის შედეგი, რაც მოქალაქეთა კავშირს 2001 წელს, შევარდნაძის „განდგომის“ შემდეგ დაემართა, არანაირად არ განმეორდება!

ეს ყველამ კარგად იცის და სწორედ ამიტომ ბრძოლა მეორე ადგილისთვის, „მეორე პოლიტიკური ძალის“ სახელის მოსაპოვებლადაა. ეს „წოდება“ ბევრი რამის უფლებას იძლევა, დაწყებული სოლიდური დაფინანსების მოპოვებით, – დასავლელ პარტნიორებთან სერიოზული ურთიერთობების დამყარებით დამთავრებული.

ამ სიტუაციაში ქართველი საზოგადოების უმთავრეს ამოცანას პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღება და ბოლოს და ბოლოს ამ ქვეყანაში ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრების დაწყება უნდა წარმოადგენდეს.

ხელისუფლება ნაცმოძრაობასა და მის ნასხლეტებთან თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობს, იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ მათთვის მუდამ შეიძლება „ბუას“ იმიჯის მიწებება და მათი მერკანტილური ბუნებიდან გამომდინარე, მუდამ შეიძლება კულუარული კომპრომისის მოძებნა, რაც „ქართული ოცნების“ რიგებში ნაციონალური მოძრაობის წევრთა უპრეცედენტო რაოდენობის პორტირებაში და ე.წ. „ეროვნული ბოზების“ საკმაოდ მსუყედ დაფინანსებითაც ჩანს.

რაც შეეხება პატრიოტთა ალიანსს და თბილისის მერობის კანდიდატ ირმა ინაშვილს, პირდაპირ ვიტყვი, რომ დღეს პოლიტიკური სივრცის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ.

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს, მათი ნამდვილად არასწორი გადაწყვეტილება, თავიანთ საარჩევნო ბლოკში საეჭვო წარსულისა და აწმყოს „პოლიტიკოსთა“ ჩასმა საკმაოდ მკაცრად გავაკრიტიკე, დღეს ვითარება ძირფესვიანად შეცვლილია.

გუშინ ნინო ბურჯანაძემ თბილისის მერობის კანდიდატად კახა კუკავა, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად დიმიტრი ლორთქიფანიძე წარადგინა.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ბურჯანაძის ეს გადაწყვეტილება გუბაზ სანიკიძის ფორუმიდან „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიან საქართველოში“ გადასვლის გაგრძელება და ამ თითქმის უკვე რეიტინგდაკარგული პოლიტიკური ძალის ჰარაკირია. შეიძლება უფრო შორსაც წავიდეთ და დავამატოთ, რომ ბურჯანაძის მომხრეთა ალეკო ელისაშვილისკენ გადასვლის ერთ-ერთი წინაპირობაა.

რატომღაც ითვლება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საპარლამენტო არჩევნების გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენს და თუნდაც ამიტომ საზოგადოებამ სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს.

საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას პოლიტიკურ ველზე დამღუპველი კოჰაბიტაციის გაგრძელება.

საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას პოლიტიკური ცხოვრების საბოლოო სიკვდილი.

საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას „ეროვნული ბოზების“ ხალხის ხარჯზე დაფინანსება.

და საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას ქვეყანაში აგრესიული ლებერალების, ანუ ტროცკის იდეების სულიერ შვილთა საბოლოო გამარჯვება.

გია გაბრიჭიძე

ყაზახეთის ელჩი: ფიცი-მტკიცის მიუხედავად, ქართულმა რკინიგზამ ჩვენი ტვირთების შავი ზღვის პორტებში გადასატანად არათანაბარი პირობები შეგვიქმნა

„საქართველოში ყაზახეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ერმუჰამეთ ერთისბაევს რაიმე განსაკუთრებული წარდგენა არ ჭირდება: იგი ყაზახი პოლიტიკოსების იმ იშვიათ წარმომადგენლებს მიეკუთვნება, რომლებსაც ოპონენტებთან არგუმენტირებული დისკუსიის უნარი აქვთ, შეუძლიათ ჟურნალისტებთან საუბარი და თავიანთი აზრების ნათლად გადმოცემა. თბილისიდან ასტანაში დროებით ჩამოსული ერმუჰამეთ ერთისბაევი ძალიან იყო დაკავებული, მაგრამ ჩვენმა გაზეთმა მაინც მოახერხა მასთან გასაუბრება“, — ასე იწყება ყაზახური გამოცემა „კურსის“ მიერ გამოქვეყნებული ვრცელი ინტერვიუ ყაზახ დიპლომატთან, რომელიც საქართველო-ყაზახეთის ურთიერთობებზე საუბრობს.

ჟურნალისტის ერთ-ერთი შეკითხვა ეხება ასტანაში გამართულ მსოფლიო გამოფენას — „ექსპო-2017“-ს, რომელშიც საქართველოც მონაწილეობდა. ელჩის აზრით, საქართველოს დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვს, რაც მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოს და შეაფასოს. თუმცა წინა წლებში ამ მხრივ თბილისი შედარებით ნაკლებად ზრუნავდა. მაგალითად, საქართველო არ მონაწილეობდა მილანში გამართულ საერთაშორისო გამოფენა „ექსპო-2015“-ში. თუმცა ბოლო დროს სიტუაცია გამოსწორების გზაზეა — ამჟამად მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები, ქართული ღვინო და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია უკვე 49 ქვეყანაში გადის (შედარება: 2008 წელს — ძირითადად მხოლოდ 5 ქვეყანაში). „თუმცა საწყენია, რომ საქართველო თავის ტრადიციულ ექსპორტს თანდათან ივიწყებს: სად არის ქართული მანდარინი და ქართული ჩაი? მათ ხსენებაზე ნოსტალგიურად გვაგონდება საბჭოთა პერიოდი, როცა საქართველო ცისტრუსებისა და ჩაის ექსპორტში მონოპოლიას ფლობდა, თუმცა ეს პროდუქცია საბჭოთა გასტრონომებში მაინც დეფიციტად ითვლებოდა. ამასთან, ქართული ეკონომიკის 65% „ჩრდილოვან“ ნაწილად ითვლებოდა! რა დასამალია და საქართველოში მოსახლეობის კეთილდღეობის დონეც მაღალი იყო — ქართველი ყაზახთან და რუსთან შედარებით, სამჯერ-ოთხჯერ უფრო შეძლებულად ცხოვრობდა. ქართველებისგან განსხვავებით ჩვენი მოსახლეობა „კილკას“ ჭამდა და ზედ „ბორმოტუხას“ აყოლებდა. რასაკვირველია, დღეს საქართველო შეცვლილია. მართალია, ჩვენსავით ნავთობი და გაზი არა აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ, ევროპული ინტეგრაცია სურთ. საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებთან და ჩინეთთანაც უკვე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს. სწრაფი ტემპებით ვითარდება ტურიზმის დარგი: წელიწადში ექვსი მილიონი ტურისტის მომსახურება — ეს ძალზე შთამბეჭდავია“, — ამბობს ყაზახი დიპლომატი და ხაზს უსვამს, რომ საქართველო ყაზახებისთვის ძალიან მიმზიდველ ქვეყანას წარმოადგენს: სუბტროპიკული ბუნება, თბილი ზღვა, პალმები, ტყიანი მთები, თოვლიანი მწვერვალები, უძველესი ცივილიზაცია... თანაც საბერძნეთზე და თურქეთზე ბევრად იაფი“.

ჟურნალისტისა და ელჩის საუბარი ეხება ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობასაც: „საქართველოში საკმაოდ ფართოდაა წარმომადგენილი ყაზახური პროდუქცია, საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით ფოთის პორტიდან ყაზახეთის ენერგორესურსები ევროპაში გადის... საქართველო ყაზახეთისგან ყიდულობს ხორბალს, ქიმიურ სასუქებს, ლითონს, ბულდოზერებს, გრეიდერებს“, — ამბობს ერმუჰამეთ ერთისბაევი.

— ძალიან კარგი, თქვენი აზრი გასაგებია, მაგრამ იცით, რა ქმნის ჩემთვის უხერხულობას? საქართველოს თითქმის მთელი მსოფლიო ეხმარება, მათ შორის ჩვენი ქვეყანაც, მაგრამ 2016 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე თითქმის 17%-ს შეადგენს. ცოტა უცნაურია, ხომ? გარდა ამისა, თუ გავიხსენებთ ბათუმის პორტთან და თბილისის გაზგამანაწილებელ სისტემასთან დაკავშირებულ პრობლემებს...

— საქართველოს არავინ არ ეხმარება, თბილისი თვითონ იღებს კრედიტებს და სესხებს. მაგალითად, საქართველოს ყაზახეთის ვალი აქვს და სექტემბრიდან მის დაბრუნებას იწყებს. ჩვენ საქართველებს 1990-იანი წლების შუახანებში 27,5 მილიონი დოლარი ვასესხეთ. იმ დროს ჩვენ თვითონაც გვიჭირდა, მაგრამ საქართველოს ფული უფრო მეტად სჭირდებოდა: ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებას ძლივძლივობით ინარჩუნებდა და რადგანაც ჩვენს პრეზიდენტს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ედუარდ ამბროსიევიჩთან, ქართველებს ფული ვასესხეთ.

— ეგ გასაგებია, მაგრამ ის მითხარით, საქართველოში უმუშევრობის დონე რატომაა ასე მაღალი?

— მართალია, რომ დღეს საქართველოში უმუშევარი ძალიან ბევრია: ყოველდღიურად რუსეთის საკონსულოსთან (შვეიცარიის საელჩოში არსებულ რუსეთის ინტერესების სექციაში) უამრავი ადამიანი ელოდება ვიზას, იქ სამუშაოდ წასვლის მიზნით. ინვესტიციების ჩადებაც საქართველოში ხშირად სარისკოა. გახსოვთ, ირანში 1979 წლამდე (ისლამურ რევოლუციამდე) აშშ-მა მილიარდობით დოლარის კაპიტალი დააბანდა, რევოლუციის შემდეგ კი ყველაფერი ქარმა წაიღო... ჩვენს შემთხვევაშიც თითქმის ისე გამოვიდა: როცა თბილისის გაზგამანაწილებელ კომპანიას ვიღებდით, გავიანგარიშეთ ყაზახეთის გაზი, რუსული მილები და მეგაპოლისი თბილისი, სადაც ყაზახეთის გაზს გავყიდდით. მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა და რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამ პროექტის განხორციელება ჩაშალა.

— ოჰო... აი, თურმე რა მომხდარა...

— დიახ (რუსული მილებით), საქართველოში ყაზახური გაზი ვეღარ შევიდა, მისი ადგილი კი აზერბაიჯანულმა გაზმა დაიკავა, რაც ჩვენ არ გვინდოდა. უსიამოვნო ფორს-მაჟორის წინაშე დავდექით. ამის მიუხედავად, რა თქმა უნდა, ჩვენ ჩადებული ფულის უკან დაბრუნება გვსურს, რაც საკმაოდ დიდი მოცულობისაა. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ამ სადავო საკითხს ლონდონის არბიტრაჟი წყვეტს. 2007-2008 წლებში ჩვენ ბევრი ფული გვქონდა, ნავთობის ფასი 100 დოლარზე მეტი იყო და ინვესტიციის ჩადება ამიტომ გადავწყვიტეთ, თუმცა 2008 წლის ომმა ყველაფერი ხუთ დღეში დაანგრია: ყაზახური გაზი დავიწყებას მიეცა, ჩვენი მენეჯმენტი კი რთულ სიტუაციაში მოექცა. გაზი უნდა მიგვეწოდებინა თბილისელებისათვის, მაგრამ საიდან? მოგვიწია აზერბაიჯანელებისგან ყიდვა. ჰოდა, 40-მილიონიანი ვალიც ავიკიდეთ“.

— რას იტყვით ბათუმის პორტსა და ნავთობტერმინალზე?

— ბათუმის პორტი 49-წლიანი იჯარით გვქონდა აღებული. მასში მნიშვნელოვანი პირობა იყო ჩადებული: წელიწადში არანაკლებ ექვსი მილიონი ნავთობი უნდა გადატვირთულიყო. 2015 წლამდე ეს ტემპები მეტნაკლებად შენარჩუნებული იყო, მაგრამ შემდეგ თანდათან შემცირდა. მასზე საქართველოს პრობლემაც გავლენას ახდენს: იცით, მას შემდეგ, რაც საქართველომ აფხაზეთი დაკარგა, ბათუმის, როგორც საზღვაო ტურიზმის ცენტრის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა. ქალაქის საშუალო-გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა სამრეწველო მიმართულებით განვითარებას გამორიცხავს. ანაკლიის პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ ბათუმის სატვირთო ნავსადგური დაიხურება, მას პერსპექტივა აღარ აქვს, იმოქმედებს მხოლოდ სამგზავრო პორტი, ტურისტული გემების მომსახურების მიზნით.

საქართველოში სხვა ნავსადგურებიც მუშაობენ (ფოთში, ყულევში, სუფსაში), სადაც ტურიზმის კომპონენტი არ არის. ტვირთების გამო ისინი ერთმანეთთან კონკურირებენ. ამ ბრძოლაში ყაზახური კომპანიები მარცხდებიან. გარდა ამისა, მეგობრობა-თანამშრომლობის ფიცი-მტკიცის მიუხედავად, ქართულმა რკინიგზამ ჩვენი ტვირთების შავი ზღვის პორტებში რკინიგზით გადასატანად არათანაბარი პირობები შეგვიქმნა — ბათუმის მიმართულებით ტარიფი გაადიდა. ექსპერტების შეფასებით, ეს ყველაფერი ერთიან ჯაჭვს წარმოადგენს, რომელიც ბათუმიდან ყაზახური კომპანიის განდევნას ითვალისწინებს. ეს პრობლემა ნამდვილად დგას. ამიტომაც მე 2013 წლიდან ვამბობ, რომ ჩვენი აქტივები ბათუმში უნდა გავყიდოთ.

— რამდენად რთულია ქართველებთან მოლაპარაკება? ადრე არაერთხელ შევხვედრივარ საქართველოს მოქალაქეებს. დიახ, ისინი კეთილმეგობრული არიან, მომღიმარე სახით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საქმე მათი სცენარით მიდის. როგორც სხვანაირი სიტუაცია იქმნება, ისინი ლამის ჩხუბს იწყებენ...

— იცით, ყაზახებიც ასეთები ვართ, როცა საქმე ჩვენი სცენარით მიდის. ასეთები არიან რუსებიც, ჩინელებიც, ევროპელებიც... თუმცა ევროპელები ემოციებისაგან თავს მაინც იკავებენ. ქართველებთან მართლაც ძნელია ბიზნესის საკითხებზე მოლაპარაკება. მათ არა აქვთ ეროვნული ფონდი (თანხების დაგროვების მიზნით), არა აქვთ ნავთობი და გაზი, ამიტომ ისინი ყოველ კაპიკს ითვლიან. ყაზახური ფულით თბილისსა და ბათუმში სასტუმრო „რედისონია“ აგებული, სანატორიუმი ბორჯომში, „რომპეტროლის“ ავტოგასამართი სადგურები. მოდით, გულღიად ვთქვათ: საქართველო ამას არასოდეს არ გააკეთებდა, ზედმეტი ფულიც რომ ჰქონოდა. ჩვენ ამას 2007-2008 წლებში ვაკეთებდით, როცა ნავთობისგან შემოსავალი მდინარესავით მოგვდიოდა...

— და ბოლო კითხვა: საქართველოში ცხოვრება ისევ იაფია ყაზახეთთან შედარებით თუ ბოლო წლების ინფლაციამ ჩვენი ქვეყნები ერთმანეთთან გაათანასწორა?

— მე საქართველოში 2013 წელს ჩავედი და მართალი გითხრათ, გაოცებული ვიყავი იაფი ფასებით ყველა სფეროში — მომსახურებაში, კვების პროდუქტებში, ბინების გაქირავებაში... მაგრამ ლარის დევალვაციის პირობებში ცხოვრება თვალდათვალ ძვირდება. ორიოდე წლის წინათ მცხეთაში, მტკვრის ნაპირზე საქონლის ტვინი ხახვით შევუკვეთე. წარმოიდგინეთ, რომ ტაფაზე სასიამოვნო ოხშივარიანი კერძი მოგვართვეს და ეს მხოლოდ 7 ლარად (ანუ დაახლოებით 5 დოლარად), მაგრამ ეს ადრე იყო... მაშინ ერთი ბოთლი წყალი 10 ცენტი ღირდა. საერთოდ, საქართველო ძალიან მდიდარია ჩვეულებრივი და სასმელი მინერალური წყლებით და ის იაფი ღირს, მაგრამ ინფლაცია მაინც მოქმედებს, ცხოვრება ძვირდება. ბუნებრივია, ეს ყველაფერი იწვევს როგორც თვით ქართველების, ასევე უცხოელი ტურისტების უკმაყოფილებას.

ესაუბრა
ანატოლი ივანოვ-ვაისკოფი,
ყაზახური გამოცემა „კურსი“

ქობულეთში კიდევ ერთი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა დაიწყო

ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას საფუძველი გუშინ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ ჩაუყარა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ მთავრობის წევრები, საქართველოს პარლამენტის და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.

ზურაბ პატარაძის თქმით, ქობულეთში მიმდინარეობს აღმშენებლობის პროცესი. მთავრობის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ახალი სასტუმროს მშენებლობა ყველაზე დიდი ინვესტიციაა რეგიონში, ხოლო ამიერკავკასიაში ყველაზე გამორჩეული სასტუმრო კომპლექსი.

40 000 კვ.მ-ის ფართობზე განთავსდება კომპლექსი, რომლის შემადგენლობაშიც შედის 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო და გასართობი შენობების ჯგუფი. სასტუმროს ექნება 220 ნომერი, არანაკლებ 300 პერსონაზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი, შეხვედრების რამდენიმე ოთახი, ორი ან მეტი რესტორანი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სპა ცენტრი, ღია და დახურული აუზები. კომპლექსის შემადგენლობაში ასევე შედის სამორინეც. ტერიტორიაზე განთავსდება სხვადასხვა სახის სარეკრეაციო ნაგებობა. პროექტის ფარგლებში კომპანია „Crystal Building“- ის მიერ 200 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება. სასტუმროში 400 ადამიანი დასაქმდება.

რატომ უჭირავს ჭოგრიტი გიორგი მღებრიშვილს?!

მიშა, ოღრაშო, გითვალთვალებენ!..

ვიცი, მიშა ოღრაში, იგივე მიხეილ სააკაშვილი, მშიშარა და მხდალი კაცი არ არის, არც მიწაზე მფორთხავი (ამაში რუსეთთან ომის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით), მაგრამ მაინც მინდა გავაფრთხილო, რომ მას — საქართველოს ორგზის პრეზიდენტს მშობლიური ქვეყნიდან ქურდულად, ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებენ. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ არ მინდა ერთ დროს მსოფლიოს „ვარსკვლავად“ მოვლენილმა პოლიტიკოსმა, ახლა კი ბომჟად და უცხო სახელმწიფოთა კარდაკარ მაწანწალად ქცეულმა ნაპრეზიდენტალმა იფიქროს, რომ მის კარიერას სამუდამოდ წერტილი დაესვა და აწი რას მოიმოქმედებს, აღარავის აინტერესებს.

არა, ბატონებო, მიშა ოღრაშს (ეს სახელი ნამეტანი შეერწყა მის პიროვნულ ღირსებას), მსოფლიო პოლიტიკა, დასავლური ლიბერასტული დემოკრატია ასე იოლად რომ ვერ შეელევა, ეს ამ დღეებშიც ნათლად გამოჩნდა. ლაპარაკია უკრაინული საიტის მიერ გავრცელებულ აუდიოჩანაწერზე, რომელიც ცნობილი რუსი პანკერების (სატელეფონო ხულიგნების), „ვოვანისა“ და „ლექსუსის“ მტკიცებით, „ლექსუსი“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი მღებრიშვილს უკრაინელი კოლეგის არსენ ავაკოვის სახელით სააკაშვილის ექსტრადირებაზე ესაუბრება. ამაში თითქოს გასაკვირი არაფერია, საქართველოს პროკურატურა, როგორც თავად აცხადებს, არაერთგზის დაბეჯითებით მოითხოვდა დამნაშავე სააკაშვილის საქართველოსთვის გადმოცემას, მაგრამ ამჯერად უცნაური და დაუჯერებელი რამ მოხდა, მინისტრმა მღებრიშვილმა სააკაშვილის ექსტრადირებაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ საქართველოს ის არ სჭირდება. უფრო მეტიც, პანკერის გადმოცემით, მღებრიშვილმა სააკაშვილს ავანტიურისტი უწოდა და უთხრა, რომ უმჯობესია, ის ბომჟი იყოს, ვიდრე საქართველოს ციხეში იჯდეს და ქვეყანას პრობლემებს უქმნიდეს.

როგორ ფიქრობთ, მინისტრმა აღიარა ამ საუბრის რეალობა? არა, რა თქმა უნდა, მღებრიშვილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საქმისგან თავი შორს დაიჭირა, საუბარი დესტრუქციული ძალების მიერ აგორებულ პიარად მონათლა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების დასუსტებას ისახავს მიზნად. **„თუ საჭირო გახდა, ჩაატარონ გამოძიება, ექსპერტიზები, მე გეტყვით, რომ ფსბ-ს აგენტები და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ორკესტრირებულად უტევენ ხელისუფლებას და ეს არის ჩვენს შესასუსტებლად აგორებული ანტიპიარი“,** — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

პასუხისმგებლობიდან თავი რომ დაიძვრინოს, ამას აცხადებს გიორგი მღებრიშვილი, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის თაობაზე ექსპერტები? მათი აზრით, ვინც კარგად იცის ქვეყნის მართვის ელემენტარული მექანიზმები, ადვილად მიხვდება, რომ ასეთი დონის საუბრები დაცული კავშირების გარეშე აბსოლუტურად გამორიცხულია. ასე რომ, ვიღაც მოქალაქემ დაურეკოს საქართველოს შს მინისტრს და ესაუბროს უკრაინელი კოლეგის სახელით, ნონსენსია.

თუმცა, ვრცელდება სხვა სახის ვერსიებიც. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ყველაფერი მღებრიშვილის ხელისუფლების ერთ-ერთმა განშტოებამ „გააჩალიჩა“, რაც ნაკლებად დამაჯერებელია. ის ბიჭები, რომლებმაც ეს ჩანაწერი გააკეთეს, ცნობილი სატელეფონო ხულიგნები არიან, რომელთათვის მღებრიშვილი არ გახლავთ პირველი მსხვერპლი. ისინი სხვადასხვა ქვეყანაში ურეკავენ მაღალი თანამდებობის პირებს, აშარჟებენ და თანაც, მნიშვნელოვან სახელმწიფო საიდუმლოსაც დასტყუებენ ხოლმე. ამ საუბრითაც, თუ ის მართლა შედგა, აშკარად გამოჩნდა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურების სისუსტე, მათ შორის შს მინისტრის სისუსტეც, რომელიც ისე გულღიად საუბრობდა ყველაფერზე, რომ არც კი გადაუმოწმებია, მართლა უკრაინიდან ურეკავდნენ თუ ლუქსემბურგიდან?!

ცალკე უბედურებაა თავად საუბრის შინაარსი, რომელშიც ნებსით თუ უნებლიეთ გათქმულია რამდენიმე საიდუმლო ინფორმაცია, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინის თავკაცების დავოსში გამართული შეხვედრის საიდუმლო დეტალები. ჩვენმა შს მინისტრმა უკრაინელ კოლეგას ლამის პატაკი ჩააბარა, ყველაფერი მოუყვა, რაც მას აინტერესებდა. მან ისიც კი ჩამოფქვა, სააკაშვილი პოლონეთში სად რომელ ქალბატონს შეხვდა. და რაკი ჩვენი შს სამინისტრო ამ ინფორმაციას ფლობს, გამოდის, რომ საქართველოს პრეზიდენტყოფილზე ხორციელდება თვალთვალი, რაც, თავის მხრივ, ცალკე დანაშაულია, რადგან ის აღარ არის საქართველოს მოქალაქე.

ამას რომ მოჰკრეს ყური, სულგაყიდულმა ნაცებმა, როგორც სჩვევიათ ხოლმე, საკბილოს პირი მაგრად ჩაავლეს და ერთხმად აყაყანდნენ: აი, ხომ ხედავთ, ხალხო, ოლიგარქ ივანიშვილის რჩეულ ხელისუფლებაში როგორი არამზადები სხედან, მათ მანამდე არ მოისვენეს, ვიდრე ქვეყნის აღმშენებელი, რეფორმატორი და უზადო დემოკრატი სააკაშვილი სამშობლოდან არ გააძევეს, ახლა კი იქაც აღარ ასვენებენ, მასზე სადღეღამისო თვალთვალი აქვთ დაწესებული და პოლიტიკურ ოპონენტს უცხოეთში ცხოვრების უფლებასაც ართმევენო. ეს უკვე დანაშაულის ტოლფასია, რისთვისაც გიორგი მღებრიშვილმა პასუხი უნდა აგოს და დღესვე თანამდებობიდან გადადგეს. თუ მან ეს საკუთარი სურვილით არ გააკეთა, პერმანენტულ აქციებს გავმართავთ და ძალით გადავაყენებთო.

აბა, როგორ, „დამნაშავეა“ ივანიშვილის ხელდასხმული მთავრობა, მისი შინაგან საქმეთა მინისტრი, პროკურატურა, საქართველოს მთელი სამართალდამცავი ინსტიტუტი და არა თავად ქვეყნის მაოხრებელი გზირი სააკაშვილი, რომელმაც რუსეთთან „მოგებული ომის“ წყალობით საქართველოს აფხაზეთი და სამაჩაბლო დააკარგვინა, შიდა ქართლის სოფლები ნაგვის გორად (მისი სიტყვებია) აქცია, 9 წლის მანძილზე ქვეყანა სიცრუეში ამყოფა, ათეულათასობით ადამიანი ციხეებში გამომამწყვდია და აწამა, სასწაული რეფორმები და ექსპერიმენტები ატარა, მოსახლეობის მესამედი უცხოეთში ლუკმაპურის საძიებლად გადახვეწა, ვირტუალური სახელმწიფო შექმნა, მშიერ-მწყურვალი ხალხი უცხოური კონცერტებით აპურა, დაგვაზომბირა და მერე, როგორც უკანასკნელი ლაჩარი, ქვეყნიდან აითესა.

რა თქმა უნდა, დამნაშავენი არიან ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურები და არა ქვეყნის დამაქცევარი შარახვეტია სააკაშვილი, რომელმაც საქართველოსთვის ტერიტორიების დაკარგვა არ იკმარა, სამშობლო შუაზე გაყო და პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადაიტანა, კაცმა, რომელმაც 9 მილიონი სახელმწიფო თანხები ბოტოქსების, მკბენარე მასაჟების კეთებაში, მსოფლიოს სახელგანთქმულ კახპებთან კოტრიალში გაფლანგა. შეგვიძლია არქივიდან ამოვიღოთ კადრები, სადაც სააკაშვილი აღიარებს, რომ აფრასიძეების ოჯახის ჩახოცვის ბრძანება პირადად მან მისცა მინისტრ გიორგი ბარამიძეს, იმ შუბლძარღვგაწყვეტილ ბარამიძეს, რომელსაც დღეს შეუძლია გვიმტკიცოს, რომ ბოლო 50 წლის მანძილზე მსოფლიოს სააკაშვილის ტოლფასი პოლიტიკოსი აღარ ჰყოლია(!)

რა თქმა უნდა, დამნაშავენი არიან ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურები და არა ქვეყნის დამაქცევარი შარახვეტია სააკაშვილი, რომელმაც საქართველოსთვის ტერიტორიების დაკარგვა არ იკმარა, სამშობლო შუაზე გაყო და პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადაიტანა, კაცმა, რომელმაც 9 მილიონი სახელმწიფო თანხები ბოტოქსების, მკბენარე მასაჟების კეთებაში, მსოფლიოს სახელგანთქმულ კახპებთან კოტრიალში გაფლანგა. შეგვიძლია არქივიდან ამოვიღოთ კადრები, სადაც სააკაშვილი აღიარებს, რომ აფრასიძეების ოჯახის ჩახოცვის ბრძანება პირადად მან მისცა მინისტრ გიორგი ბარამიძეს, იმ შუბლძარღვგაწყვეტილ ბარამიძეს, რომელსაც დღეს შეუძლია გვიმტკიცოს, რომ ბოლო 50 წლის მანძილზე მსოფლიოს სააკაშვილის ტოლფასი პოლიტიკოსი აღარ ჰყოლია(!)

ჰოდა, დააბიჯეს ახლა ეს მოქალაქეობაწართმეული ლომკაცი პოლიტიკოსი დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში, ხან ამერიკაშია, ხან — ევროპაში. პოლონეთი არ აკლია, ბალტიისპირეთი და უნგრეთი, მაგრამ ამათგან რატომღაც არცერთი ქვეყნის ხელისუფლებას აზრად არ მოსვლია, დაეკავებინა უამრავ დანაშაულთათვის წითელი ცირკულარით ძებნილი ეს პლანეტათაშორისი მაწანწალა და საქართველოსთვის გადმოეცა. თუმცა ეს არავის უკვირს, ყველამ მშვენივრად უწყის, რომ სააკაშვილმა დამატებით კიდევ რაც უნდა დანაშაული ჩაიდინოს, დამნაშავეს მაინც არავინ გადმოგვცემს იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ მისი დასავლელი მფარველები ამას არასდროს დაუშვებენ.

ეს მშვენივრად მოეხსენება ამ დანაშაულთა შემოქმედ სააკაშვილსაც, რომელიც დაურცხვენელი რიხით აცხადებს: **„ქართველი ხალხი, რომელსაც უკვე საკმაო მასალა აქვს ჩემი მმართველობის შესადარებლად ოლიგარქიულ ჩაგვრასთან, გამოვა ქუჩაში და გახვეტს მათ, როგორც კი თბილისში გამოვჩნდები...“**

აი, თურმე რატომ გრძნობს მსოფლიოს გარშემო „ტურისტულ მოგზაურობაში“ თავს ყინჩად საქართველოს დამაქცევარი სააკაშვილი და რატომ არ სურს მისი ექსტრადირება ქვეყნის ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე, არც ის უნდა იყოს გაუგებარი, რატომ უჭირავს ჭოგრიტი გიორგი მღებრიშვილს სააკაშვილის სათვალთვალოდ ხელიდან გაუგდებლად, მე ერთი შემიძლია ვუსურვო, ღმერთმა მეტი გაძლება მისცეს!



ოთარ ხუციშვილი

სააკაშვილს კალთას აგლეჯენ!

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მას მოქალაქეობასთან დაკავშირებით რამდენიმე ევროპული ქვეყნისგან აქვს შეთავაზება. თუმცა, როგორც სააკაშვილი „ფეისბუქზე“ გავრცელებულ ვიდეოში აცხადებს, მას არ შეუძლია შორიდან უყუროს იმას, რაც უკრაინაში ხდება:

„როგორც იცით, 10 სექტემბერს უკრაინაში დაბრუნება გადავწყვიტე. ბევრი მირჩევს, არ გავაკეთო ეს. მოქალაქეობასთან დაკავშირებით რამდენიმე ევროპული ქვეყნისგან მაქვს შემოთავაზება, საქმისა და შემოსავლის გარეშეც არ დავრჩები. მაგრამ კარგად მახსოვს, თავის დროზე პუტინის მითითებით რუსმა ოლიგარქმა ივანიშვილმა ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები როგორ აღძრა, რომ მე ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობა არ მიმეღო. ზუსტად ასე, პოროშენკომ განკარგულება გამოსცა, უკრაინაში გზა დამიხურა და საქართველოში ექსტრადირებით მემუქრება. თუმცა, ამავდროულად უკრაინის სრული განადგურება მიმდინარეობს. შორიდან ვუყურო ყველაფერ ამას? არავითარ შემთხვევაში.

მე დავპირდი უკრაინელ ხალხს, რომ მათ მხარეს ვიქნები. მე „ბარიგების“ მხარეს არ დავმდგარვარ, თუმცა ბევრჯერ შემოუთავაზებიათ ჩემთვის ეს. უკრაინელი პოლიტიკოსების ახალგაზრდა თაობასთან ერთად ჩვენ აუცილებლად შევცვლით ამ რეალობას...“.

რა შედეგს მივიღებთ, თუ თბილისის მერობის უალტერნატივო კანდიდატი კახა კალაძე ვერ გაიმარჯვებს?!

...ნიშნავს იმას, რომ თბილისის მოქალაქეთა უმრავლესობას უნარი არ შესწევს კარგი ცუდისგან განასხვაოს, საქმის ცუდი გამკეთებელი ამჯობინოს კარგის გამკეთებელს, არ სურს მშობლიური ქალაქი კეთილმოეწყოს, მეტიც, არ სურს პირადი კეთილდღეობა.

ისეთ უნიკალურ, განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომ ყველა პარტიის წარმომადგენელმა ხმა უყოყმანოდ უნდა მისცეს კალაძეს, თუ კი მას სურს ქალაქის კეთილდღეობა.

თუ დავუშვებთ (დაშვებაც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება) იმას, რომ ბატონი კახა და დანარჩენი კანდიდატები თანაბარი შესაძლებლობის ინდივიდები არიან, ამ შემთხვევაში ამომრჩეველმა ხმა მაინც კალაძეს უნდა მისცეს, ვინაიდან აუცილებელია ხელისუფლებასა და თბილისის მერს შორის ურთიერთჰარმონიული დამოკიდებულება არსებობდეს. სხვა პარტიის წარმომადგენლის მერად არჩევის შემთხვევაში, ეს ჰარმონია დაირღვევა. მართალია, „ოცნება“ გვიმტკიცებს (მე პროგრესისტული პარტიის თავმჯდომარე ვარ), რომ თბილისის მერის არჩევნებში ნებისმიერ გამარჯვებულს ხელისუფლებისგან ყოველგვარი ხელშეწყობა ექნება, მაგრამ პრაქტიკაში ასეთი რამ არ ხდება. მომსწრე გავხდებით მუდმივი კინკლაობისა და, ვინაიდან თბილისში საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით მესამედი ცხოვრობს, უთანხმოებამ შესაძლებელია ქვეყანაში აშლილობა გამოიწვიოს. ამგვარ აშლილობას რაც მოჰყვება, მკითხველმა წარმოიდგინოს.

ქალბატონი ელენე ხოშტარია ამომრჩეველს რომ უმტკიცებს, შესაძლებელია პენსიების მნიშვნელოვანი გაზრდა ზედმეტი ხარჯების გაწევის შემცირების შედეგადო, საკითხავია, ხელისუფლება მიიჩნევს ამ ხარჯებს ზედმეტად? ჰოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაიწყება გაუთავებელი კამათი ამგვარ საკითხებზე და გაჭყეტილი დარჩება, როგორც ყოველთვის, რიგითი მოქალაქე. ბატონი კახის მერად არჩევის შემთხვევაში, მსგავს მოვლენას ადგილი არ ექნება. მეტიც, როგორც ამბობენ, იგი ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით არ მოსულა, საკმაოდ შეძლებული ბიზნესმენია. თუ მინისტრობის დროს ხელფასს არ იღებდა, მერობის შემთხვევაშიც იმავეს გააკეთებს. ინვესტიციების მოზიდვაც არ გაუჭირდება, ვინაიდან ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებიდანვე, საზღვარგარეთის მრავალ ბიზნესმენთან ურთიერთობა ჰქონდა.

ყველა საღად მოაზროვნე ექსპერტი წინასწარმეტყველებს, რომ კალაძე დიდი უპირატესობით არჩევნებს პირველ ტურშივე მოიგებს, ხოლო დანარჩენები ბრძოლას გამართავენ შემდეგი ადგილების მოსაპოვებლად, რათა შემდგომში დაგროვილი ხმები პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად გამოიყენონ.. მე კი სხვანაირ რჩევას მივცემ მათ. ვინც პირველი მოხსნის თავის კანდიდატურას კალაძის სასარგებლოდ, მისი ავტორიტეტი ხალხის თვალში ამაღლდება.

ზაალ უდუმაშვილი მეტად არასწორ განცხადებას აკეთებს: ჟურნალისტიკიდან გადავდივარ პოლიტიკაშიო. ნუთუ პოლიტიკა ასეთი ხელწამოსაკრავი სპეციალობაა, რომ ყველას შეუძლია მისი ათვისება რამდენიმე თვეში. ეს ისე გამოდის, ლიტერატორმა განაცხადოს — ლიტერატურას თავს ვანებებ და მათემატიკაში ვიწყებ მუშაობასო.

სწორი იქნებოდა უდუმაშვილს ასე განეცხადებია: თავს ვანებებ კაბინეტიდან სააკაშვილის რუპორობას, ვინაიდან ახლა მას ძლიერ უჭირს, გამოვდივარ კაბინეტიდან და ქუჩიდან განვაგრძობ იგივე საქმიანობასო. მისგან არასოდეს გამიგია თუნდაც ერთი პოლიტიკური შინაარსით დატვირთული წინადადება წარმოეთქვას ან თბილისის განვითარებაზე რაიმე მნიშვნელოვანი ეთქვას.

მოკლედ, მისი პიროვნების გაანალიზებაც არასერიოზულ საქმედ მიმაჩნია და ამიტომ ვწყვეტ მასზე საუბარს.

რა უნდა ითქვას ბატონ ალეკო ელისაშვილზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია, მომავალში შეიძლება გამოცდილება შეიძინოს და ცხოვრების რომელიმე სფეროში გაუმართლოს. გულს ნუ გავუტეხთ... არჩევნებში კი აუცილებლად დამარცხდება.

რაც შეეხება ქალბატონ ელენე ხოშტარიას, იგი პირწავარდნილი ნაცია, დემაგოგია და ბოტანიკის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ეკა ხერხეულიძის პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენელია.

გამოჩნდა მე-5 კანდიდატიც... მასზე ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა — მითხარი ვისთან მეგობრობ და გეტყვი ვინცა ხარ. უმადურმა უსუფაშვილმა თავი უკვე ნათლად გამოიაშკარავა. პოლიტიკურად უმეცარია, არც იურისპრუდენციაში მაინცდამაინც გამორჩეული. მისთვის რომ დაეჯერებინა ხელისუფლებას, ქვეყანა 10 მილიარდი ლარის ოდენობის ზარალს განიცდიდა. ის იმ პერიოდში ახალგაზრდა იურისტთა კავშირს თავკაცობდა. ამ მოვლენას რამდენიმე სტატია მივუძღვენი. თუ უსუფაშვილი რაიმეს უარყოფს, შემიძლია, მას კიდევ მეტი არგუმენტების მოხმობით დავუმტკიცო შეცდომა, რაც დანაშაულის ტოლფასია.

ასე რომ, ბატონ კახის ბუტაფორული მეტოქეები ჰყავს.

ბოლო ხანს თბილისის მერობის კანდიდატობაზე სურვილი გამოთქვა ქალბატონმა ირმა ინაშვილმა. ის წარმატების მოპოვებისთვის მიზანდასახულად იბრძვის. ეს თვისება პიროვნებაში დასაფასებელია, მაგრამ ბატონ კახას — უდავო ფაორიტს — ხელი შეუშალო თბილისის მერის პოსტის დაკავებაში, ვფიქრობ, არ არის მოსაწონი ქმედება. კალაძე ხომ ყველა საქმეში ნაცადი პიროვნებაა, რომელმაც ყოველგვარ გამოწვევას ღირსეულად გაართვა თავი. ჩემი პარტიის (პროგრესისტული) რამდენიმე წევრს ჰქონდა სურვილი თბილისის მერობაზე კენჭი ეყარა, მაგრამ რაკიღა გამოჩნდა თბილისის მერობის ღირსეული კანდიდატი — კალაძის სახით, ჩემი რჩევის შემდეგ ეს სურვილი გაუქრათ. ხოლო ვაშაძის მოწოდება გაერთიანებისკენ, რათა „ოცნება“ დაამარცხონ, თავხედური და სასაცილოც კია. სულ ახლახან ქართველი ხალხი გაერთიანდა „ოცნების“ ირგვლივ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით და ხელისუფლებიდან განდევნა ქართველი ხალხის არაკეთილმოსურნეები — სააკაშვილი და მისი მომხრეები, სატელიტები. ეს ნაძირლები ხალხს თვალში ნაცარს აყრიან და გაერთიანებას სთავაზობენ, რათა ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნდნენ, ასე ვთქვათ, გუშინ ხელისუფლებიდან გამორეკილი თაღლითები.

მხოლოდ გაერთიანებული ძალის მეშვეობით შესაძლებელია კალაძის დამარცხებაო. თავისთავად ეს „მოსაზრება“ კალაძის უძლეველობის აღიარებაცაა.

რაც არ უნდა მოკლედ შევეცადო კალაძის წარმატებების ჩამოთვლას, საგაზეთო გვერდის გარკვეულ მოცულობას მაინც დაიჭერს.

კალაძეს აკრიტიკებენ ზღვარგადასული შურის გამო. თურმე, ნუღარ იკითხავთ ბავშვობაში „ლ“-ს რბილად გამოთქვამდა და ახლა იმდენად გათამამდა, რომ ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი, რომ იტყვიან, სულაც გურულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერავინ დაასახელებს საქართველოს ისტორიაში თანაბარ მეცნიერთა დუეტს, რომ მათ გვერდით დავაყენოთ.

რაც შეეხება ბატონ კახას, ის თამამად შეიძლება დასახელდეს გამორჩეული ქართველი ახალგაზრდების რიგებში. უკონკურენტოა ქართველ ფეხბურთელთა შორის, რომელმაც საზღვარგარეთ ესოდენ დიდ წარმატებას მიაღწია.

სააკაშვილი ყოველნაირად ცდილობდა კალაძეს დამეგობრებოდა, სანაცვლოდ მომავალში თავის ადგილს პრეზიდენტობასაც კი ჰპირდებოდა, მაგრამ ამაოდ — ვერაფრით დაიყოლია და შემდგომში მან სააკისტების დამარცხებაში ლომის წილი შეიტანა.

საქმემან თვისმან გამოაჩინა და სრულიად ახალგაზრდა კაცს მინისტრის პოსტი ჩააბარეს, თანაც ვიცე-პრემიერი გახდა. ზოგს ეგონა — ეს იყო ჯილდო თავდადებული ერთგულების გამოჩენისთვის, რაც მან გამოავლინა ქართველთმოძულე სააკისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ შეცდნენ — ცხოვრების ახალ სარბიელზე კალაძემ შესაშური უნარი გამოიჩინა — ქართული ენერგეტიკა კარგად გამართა და მას მომავლის პერსპექტივა შეუქმნა. ამას ვერავინ უარყოფს.

ახლახან ჩატარებულ გამოკითხვაში — ვინ მიგაჩნიათ ყველაზე ელეგანტურ ახალგაზრდა მამაკაცად, ერთხმად ყველამ კალაძე დაასახელა.

ამგვარი წარმატებული კაცის დამუნათებას ცდილობენ სააკისტები და მასთან მიმხრობილი კაცუნები, როგორებიც არიან — წიკლაური, უგულავა, ბოკერია, მელია, რატიანი, ბარამიძე, ხოშტარია, ხერხეულიძე, ბაქრაძე, კაპანაძე, ბიბილაშვილი, რურუა და სხვა.

...ბატონ კახის ცხოვრებაში იყო დიდი მწუხარების ჟამი — ავაზაკებმა სიცოცხლეს გამოასალმეს მისი ძმა. აქაც სინდისგარეცხილებმა კალაძე დაადანაშაულეს, გამტაცებლებს დროულად ფული რატომ გადაუხადაო?! ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ არგენტინაში ფულის გამოძალვის მიზნით მარადონას ან მესის ძმა გაიტაცონ. იქ ასეთი რამ არასოდეს მოხდება, ჩვენთან უნდა მოხდეს ყოველგვარი უმსგავსობა.

ბატონმა კახამ გამოავლინა უმაღლესი ეროვნული თვითშეგნების დონე, და არა დიდი ნებისყოფა, როგორც ზოგიერთს ჰგონია. ნებისყოფის სიძლიერე ზოგჯერ არ ნიშნავს, პიროვნებამ გააკეთოს კეთილი საქმე. ნებისყოფა ზოგჯერ ვოლუნტარიზმისკენ იხრება. კალაძეს ნებისყოფის გამოჩენაში ჩაეთვლებოდა, თუ საზღვარგარეთ წავიდოდა და იქ წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ ის სამშობლოში დარჩა და მის წარმატებაში სურს წვლილის შეტანა. თამამად შეიძლება ითქვას, კალაძე ეროვნული თვითშეგნების ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: თბილისის მერობის არჩევნებში გვაქვს უნიკალური შემთხვევა, კალაძე უალტერნატივო კანდიდატია და ამომრჩეველს ისღა დარჩენია, სრულიად აუღელვებლად შემოხაზოს მისი გვარი და დაელოდოს ამ უნარიანი სანდო კაცის საქმიანობას მეტად მნიშვნელოვან პოსტზე.

ვაჟა ჟღენტი,
პროგრესისტული პარტიის თავმჯდომარე

„ცენტრ პოინტის“ შეჩერებული მშენებლობები, შესაძლოა, M²-მა დაასრულოს

როგორც გურამ რჩეულიშვილმა საზოგადოებრივ მაუწყებელს დაუდასტურა, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია, რომელთანაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს, სწორედ m²-ია.

მისი განცხადებით, „ცენტრ პოინტმა“ რამდენიმე მსხვილ სამშენებლო კომპანიას მიმართა, რომელთაგან დაინტერესება m2-მა გამოთქვა. მისივე თქმით, ამჟამად კომპანია მოკვლევას აწარმოებს.

„დაახლოებით 1 თვის წინათ m² დაინტერესდა. ცენტრ პოინტის აქტივები კომერციულად ნამდვილად არის საინტერესო. საჭიროა ისეთი კომპანია, რომელსაც გააჩნია მსხვილი ფინანსები. იყო რამდენიმე კომპანია, მათ შორის უკრაინულიც.

ამჟამად გეტყვით, რომ m²-მა გამოთქვა ინტერესი, რომ განაგრძოს მშენებლობები. ახლა სწავლობენ იურიდიულ და ფინანსურ დეტალებს. თუკი შევთანხმდით, ჩვენ ჩვენი მოთხოვნებიც გვაქვს — შესრულდეს ნაკისრი ვალდებულებები და, ბუნებრივია, შედგეს საპროცესო შეთანხმება.“

წურწუმიას ქუჩაზე საავტომობილო მიმოსვლა შეიზღუდება

2017 წლის 21 აგვისტოს, 23:00 საათიდან მიმდინარე წლის 15 სექტემბრის 08:00 საათამდე, საგზაო სამუშაოების გამო, საავტომობილო მიმოსვლა დროებით ორმხრივად შეიზღუდება ა. წურწუმიას ქუჩაზე, — ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ახორციელებს ავლაბრის მეტროდან (ნ. ირბახის, ა. წურწუმიას, ა. ზურაბიშვილის ქუჩების) ჯორჯ ბუშის ქუჩამდე გზის კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოებს.

მათივე ცნობით, ამ პერიოდში დროებით იცვლება №127 მიკროავტობუსის მარშრუტი. №127 ქეთევან წამებულის ქუჩიდან ზურაბაშვილის ქუჩას გუთნისა და თელავის ქუჩების გავლით დაუკავშირდება.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

მაბრამ ბირთვული იარაღის უქონლობის დროსაც კი სტალინი არ აპირებდა კაპიტულირებას: სამხედრო დაგეგმვა სსრ კავშირში, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბომბი, წარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების შესაძლო ბირთვული თავდასხმის გათვალისწინებით. უბრალოდ იგეგმებოდა შესაძლო პასუხის სხვა მეთოდები:

„...მოგიყვებით, არმიის გენერალ ი. გ. პავლოვსკისთან, სახმელეთო ჯარების მთავარსარდალთან ერთად ვიყავით ჩუკოტკაზე. იქ დღემდეა ყაზარმები, სადაც 1946 წელს განთავსებული იყო მე-14 არმია გენერალ ოლეშევის მეთაურობით. არმიას ჰქონდა სტრატეგიული ამოცანა: თუ ამერიკელები მოახდენენ ჩვენზე ატომურ თავდასხმას, იგი გადახდება ალიასკაზე, მიდის სანაპიროზე და ავითარებს თავდასხმას ამერიკის შეერთებულ შტატებზე. სტალინმა დაგვისახა ამოცანა:

— კი, ალიასკის დაბრუნება არ იქნებოდა ცუდი, — ამბობს მოლოტოვი.

— იყო ასეთი განზრახვა?

— იყო, რასაკვირველია, — მეთანხმება მოლოტოვი. — თუ განზრახვა იყო, მეტი არაფერი ყოფილა. ასეთი ამოცანისთვის, ჩემი აზრით, ჯერ დრო არ დამდგარა“.

მაგრამ სანამ მედესანტეები ისხდნენ ყაზარმებში, ემზადებოდნენ აუცილებლობის შემთხვევაში ალიასკისკენ წაწევისათვის, სსრ კავშირს უნდა ეწარმოებინა ატომური ჭურვების ერთგვარი რაოდენობა, რაც უაზროდ ხდიდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს თავდასხმას. საჭირო იყო დროის მოგება, საშუალების მიცემა ბერიას ფიზიკოსებისათვის, დაემუშავებინათ საბჭოთა ბომბი. საჭირო იყო ამ პერიოდისთვის შტატების ყურადღების გადატანა რაღაც სხვა რამეზე, რაც მათ რესურსებს ჩაყლაპავდა. და სტალინმა ნახა გამოსავალი. 1949 წელს დამთავრდა სამოქალაქო ომი ჩინეთში. გაიმარჯვა მაო ძედუნმა, რომელსაც სსრ კავშირი უჭერდა მხარს და რომელიც უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა სტალინს. პროამერიკელი და პრობრიტანელი ჩან კაიში გარბის ტაივანზე, რომელსაც მაშინ კუნძულ ფორმოზას უწოდებდნენ. მეზობელი კორეა, რომელიც გათავისუფლდა იაპონელებთან რუსებისა და ამერიკელების მიერ, გაიყო ორ ნაწილად. დასავლეთისთვის იქმნება სიტუაცია, რომელიც იმუქრება თავისი გავლენის დაკარგვით აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. სსრ კავშირი პლუს ჩინეთი — უდრის უზარმაზარ ადამიანურ და ეკონომიკურ პოტენციალს. ამ სიტუაციაში დასავლეთი უბრალოდ ვალდებული იყო, შეიარაღებული გზით ჩარეულიყო მოვლენათა განვითარებაში ამ რეგიონში. და სტალინმა ეს გამოიყენა, ამ დროს სსრ კავშირი დარჩა სამხედრო კონფლიქტის გარეთ. სსრ კავშირის მეთაურმა შეძლო, ჩაეთრია ამერიკის შეერთებული შტატები კორეის ომში, თანაც ჩაეთრია ისე, რომ მან განიცადა სერიოზული არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ რეპუტაციული ხასიათის დანაკარგები. ომი გაგრძელდა პრაქტიკულად სამი წელი: 1950 წლის 25 ივნისიდან 1953 წლის 27 ივლისამდე. მთავარ როლს ომში ერთი მხრიდან ასრულებდა შტატები (მიუხედავად იმისა, რომ ჯარები „გაეროს ჯარები“ იყო), მეორე მხრიდან კი იბრძოდნენ კორეელები და მილიონი „ჩინელი მოხალისეები“. სსრ კავშირი? იგი მხოლოდ აწვდიდა იარაღსა და სამხედრო კონსტრუქტორებს. თავად სტალინი ასეთ შეფასებას აძლევდა ომს კორეაში: „ამერიკას არ შეუძლია, აწარმოოს დიდი ომი. მთელი მათი ძალები თავდასხმაშია, ატომურ ბომბში... ამერიკელები ვაჭრები არიან. გერმანელებმა 20 დღეში დაიპყრეს საფრანგეთი: ამერიკის შეერთებულ შტატებს უკვე ორი წელია, არ შეუძლია გაუმკლავდეს კორეას. ეს რა ძალაა? ატომური ბომბით ომს ვერ მოიგებ...“

ომი საბჭოთა ატომური იარაღის შექმნისთვის მოგებული იყო. ახლა თანაბარი ბრძოლა მთელ დედამიწაზე იწყებოდა. იქმნებოდა სიტუაცია, როდესაც პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი მოწინააღმდეგეებს შორის შეუძლებელი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მუდმივად ებრძოდნენ ერთმანეთს სამხედრო, ეკონომიკური და სხვა ხერხებით. და ამ მომენტში დასავლეთის პოზიცია და შემდგომი ბრძოლის პერსპექტივები გამოიყურებოდა სრულიად არა ისე, როგორც ამას დღეს წარმოგვიჩენენ.

მაგრამ დასავლეთი არ ნებდებოდა. სტალინმა მოიგო ჩინეთი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საპასუხოდ საბჭოთა გავლენის ზონიდან გამოთიშა იუგოსლავია. ომის წლებში იუგოსლავიელმა კომუნისტებმა ტიტოს მეთაურობით სსრ კავშირისგან უზარმაზარი დახმარება მიიღეს.

„ერთ-ერთი იუგოსლაველი ხელმძღვანელი მილოვან ჯილასი ი. ბ. სტალინთან შეხვედრის შესახებ იხსენებს: „სტალინმა სავსებით მკაფიოდ გადაწყვიტა იუგოსლავიელი მებრძოლებისათვის დახმარების გაწევის საკითხი. როდესაც ვახსენე სესხი ორასი ათასი დოლარის შესახებ, მან თქვა, რომ ეს წვრილმანია და დიდად არ დაგეხმარებათ, მაგრამ ამ თანხას უმალვე გადმოგცემენ. ჩემს შენიშვნაზე კი, რომ დავაბრუნებთ სესხს და გადავიხდით იარაღისა და სხვა მასალების მოწოდებისთვის გათავისუფლების შემდეგ, ის გულწრფელად გაბრაზდა: „თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ, თქვენ დაღვარეთ სისხლი, მე კი ავიღებ ფულს იარაღისათვის? მე ვაჭარი არა ვარ, ჩვენ არ ვართ ვაჭრები, თქვენ იბრძვით იმავე საქმისთვის, რისთვისაც ჩვენ, და ჩვენ ვალდებული ვართ, გავიყოთ თქვენთან ის, რაც ჩვენ გვაქვს“.

1945 წლის გაზაფხულზე დაიდო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ხელშეკრულება, რომელიც გაწყდა 1949 წლის 28 სექტემბერს. ისტორია თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ სტალინთან ურთიერთობათა გაწყვეტა იყო იოსიპ ბროზ ტიტოს შეცდომა. თავად განსაჯეთ: როგრც კი სსრ კავშირმა, გორბაჩოვის გამყიდველობის წყალობით, დათმო ყველა თავისი გეოპოლიტიკური პოზიცია, იუგოსლავია დაუყოვნებლივ გაქრა ევროპის რუკიდან. და იგი დაყვეს ნაწილებად იმ ქვეყნებმა და იმ ძალებმა, რომლებითაც ცდილობდა დამეგობრებას სსრ კავშირის „წინააღმდეგ“ მარშალი ტიტო. ბელგრადსა და მოსკოვს შორის განხეთქილების მიზეზი კი გახდა ტიტოს უკმაყოფილება „ველიკორუსული შოვინიზმით“ და „მარქსიზმისგან დაშორება“ სტალინის მხრიდან. სულ მთლად უბრალოდ რომ ვთქვათ, იუგოსლავიის ხელმძღვანელობა აღშფოთებული იყო სწორედ იმით, რითაც აღფრთოვანებული არიან რუსეთის დღევანდელი მოქალაქეები — სტალინის მიერ რუსეთის ინტერესებისათვის განხორციელებული პოლიტიკით. და ომი დასავლეთთან, რომელსაც აქვს ბირთვული იარაღი, აშკარად არ შეესაბამებოდა იუგოსლავიის ან საბერძნეთის კომუნისტებთან სოლიდარობას რუსი ხალხის ინტერესების გამო. ტიტომ არა თუ არ დაუჭირა მხარი სსრ კავშირის პოლიტიკას, არამედ დაიწყო მისი კრიტიკაც, ცდილობდა, შეეყვანა იუგოსლავიის ჯარები ალბანეთში და მხარი დაეჭირა საბერძნეთის კომუნისტური პარტიზანებისათვის. სტალინი ცდილობდა, შეეკავებინა იუგსლავიელთა წმინდა ტროცკისტული მისწრაფებანი, რისი შედეგიც გახდა კიდეც შეთანხმების ჩაშლა და იუგოსლავიის კომპარტიიდან 16 ათასი კომუნისტის გარიცხვა. მათი ნაწილი ჩამოვიდა სსრ კავშირში, ნაწილი კი რეპრესირებული იქნა. არ არის საჭირო იმის განმარტება, რომ სწორედ იუგოსლავია იყო სოციალისტური ბანაკის ყველაზე პროდასავლური ქვეყანა. იმიტომ, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაპირისპირების პირობებში ეს მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ აღარ იყო საბჭოთა კავშირი და იუგოსლავიაც. აღარ იყო საჭირო დასავლეთისთვის. და მთელი მუშაობა ერთ მომენტში გაქრა. ეს კარგი გაკვეთილია იმათთვის, ვინც ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ან ნატო, როდესაც ვიღაცას უჭერენ მხარს, გააკეთებენ ამას უბრალოდ ამ ქვეყნისადმი სიმპათიის გამო. არაფერი რამ სგავსი — შეხედეთ იუგოსლავიას.

მოსკოვსა და ვაშინგტონს (ლონდონს) შორის დაპირისპირების საბოლოო გაფორმება გახდა სსრ კავშირში ოქროს მანეთის შემოღება. გამოვიდა, რომ მსოფლიო ვაჭრობის წინააღმდეგ, რომელიც დოლარებში მიმდინარეობს, ჩნდებოდა ალტერნატიული სისტემა, მაგრამ მხოლოდ არა დოლარებში, არამედ ოქროს მანეთებშიც, კონკურენცია ორ ზესახელმწიფოსა და მათს მოკავშირეებს შორის მიმდინარეობდა ყველა პარამეტრით: სამხედრო სფეროში, პოლიტიკაში, ეკონომიკაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან, 1950 წლის 28 თებერვალი:

...საბარათო სისტემის გაუქმებამ 1947 წლის დეკემბერში და ფასების სერიოზულმა შემცირებამ მასობრივი მოხმარების საქონელზე, რაც 1947-1950 წლების განმავლობაში სამჯერ განხორციელდა, მიგვიყვანეს მანეთის კიდევ მეტ გამყარებამდე, მისი მყიდველობითი უნარის ამაღლებამდე და მისი კურსის ამაღლებამდე უცხოურ ვალუტებთან დაკავშირებით. მაგრამ დასავლეთის ქვეყნებში მოხდა და კვლავ გრძელდება ვალუტის გაუფასურება, რამაც უკვე ევროპულ ვალუტების დევალვაციასთან მიგვიყვანა. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მასობრივი მოხმარების საგნებზე ფასების შემაწყვეტელმა ამაღლებამ და ამის საფუძველზე მიმდინარე ინფლაციამ, რის შესახებაც არაერთხელ აცხადებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პასუხისმგებელი წარმომადგენლები, მიგვიყვანეს ასევე დოლარის მყიდველობითი უნარის ასევე არსებით დაქვეითებამდე. ზემოაღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით მანეთის მყიდველობითი უნარი გახდა მის ოფიციალურ კურსზე უფრო მაღალი.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ აუცილებლად მიიჩნია, გაზარდოს მანეთის ოფიციალური კურსი, ხოლო მანეთის კურსის გამოთვლა მოხდეს არა ამერიკის შეერთებული შტატების დოლარის ბაზაზე, როგორც ეს იყო დადგენილი 1937 წლის ივლისში, არამედ უფრო მყარ ოქროს საფუძველზე მანეთის ოქროს შემცველობის შესაბამისად.

ეს იყო გამოწვევა. სტალინი არ ემორჩილებოდა ზემოქმედებას და ქმნიდა უცხოური ვალუტების სახელმწრიფო კონკურენტს. ფულის კერძო ემისიის ნაცვლად ცხოვრებაში განხორციელდა ფულის სახელმწიფო ემისიის სისტემა. უკვე 1949 წელს შეიქმნა „სემი“ (ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო), რომელშიც მისმა წევრებმა დაიწყეს კიდეც ვაჭრობა. ოქროს მანეთში ერთმანეთთან, აგრეთვე ჩინეთთან, მონღოლეთთან, ჩრდილოეთ კორეასთან, ვიეტნამთან და ბევრ განვითარებად ქვეყანასთან. საჭირო იყო ამ სისტემის გაფართოება. ოქროს მანეთის შექმნის შემდეგ 1952 წელს მოსკოვში გაიმართა განვითარებადი და კაპიტალისტური (შვედეთი, ფინეთი, ისლანდია, ავსტრია, შვეიცარია და მაშინ სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის არმქონე ირლანდია) ქვეყნების კონფერენცია. მისი აზრი იყო ვაჭრობის ზონის შექმნა „არა დოლარზე“, არამედ სისტემა, რომელშიც ვაჭრობის ერთეული იქნება მანეთი.

სსრ კაშვირი იგებდა საკონკურენტო ბრძოლას — აი რა იყო დასავლეთის მთავარი პრობლემა. სტალინმა საფინანსო-ორიენტირებულ სამყაროში კულისებსმიღმა არსებული მესაჭე ბანკირები უფსკრულის პირას დააყენა. მაშინ ჩვენ იდეოლოგიაშიც ხომ ვიმარჯვებდით. 1950-იანი წლების დასაწყისში ადამიანის უფლებები, თანაბარუფლებიანობა და ძმობა შეიძლებოდა მიგეკუთვნებინა მხოლოდ სსრ კავშირისთვის, ოღონდ არა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და დიდი ბრიტანეთისათვის მათი კოლონიებითა და რასობრივი რეგრეგაციით. შემთხვევითი როდია, რომ ომისშემდგომი პირველი წლები ევროპასა და მთელ მსოფლიოში იყო კომუნისტური იდეების პიკი, კომუნისტური პარტიების რიცხვი განუხრელად იზრდებოდა. სსრ კავშირი და სტალინი დამსახურებულად სარგებლობდნენ ასობით მილიონი ადამიანის სიმპათიებით მთელ მსოფლიოში.

მაგრამ 1953 წლის 5 მარტს სტალინი გარდაიცვალა. ის მოწამლეს. მისი გარდაცვალების შემდეგ ყველა გეოპოლიტიკურმა მემკვიდრეობამ დაიწყო სწრაფად გაფანტვა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ გეოპოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა უმალვე დაიწყეს სსრ კავშირის „გასინჯვა“ სიმკვრივეზე. 1953 წლის 16-17 ივნისს ხდება მღელვარებანი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლებსაც საბჭოთა ჯარები ახშობენ. მიაქციეთ ყურადღება — არა „სისხლიანი“ სტალინის დროს, არამედ უმალვე მისი მკვლელობის შემდეგ. და იმ დროსვე, სწორედ ბერლინიდან დაბრუნების შემდეგ, დააპატიმრეს ბერია. მის კვალდაკვალ გაანადგურეს ჩვენი სპეციალური სამსახურების მთელი პლეადა. რის შემდეგაც ხრუშჩოვი და მისი ხელქვეითები ანადგურებენ თითქმის ყველაფერს, რაც სტალინმა გააკეთა:

დააქუცმაცეს ახლახან დაწყებული საოკეანო სამხედრო ფლოტი (სტალინი აპირებდა ისე გაეკეთებინა, რომ რუსულ ფლოტს ეცურა მსოფლიო ოკეანეში და ამერიკის შეერთებული შტატების ნაპირებთან);

ახორციელებენ სამხედრო რეფორმას და არმიის შემცირებას. ყველაზე უდიერი სახით, რაც სტალინის დროს შეუძლებელი იყო (მაგალითი — ფრონტელის გათავისუფლება, რომელიც ბრძოლაში დაიჭრა, ვადამდე რამდენიმე თვით ადრე და რომელიც აძლევდა მას სამხედრო პენსიის უფლებას);

სტალინის სამარცხვინო ბოძზე გაკვრის კამპანიას მივყავართ ალბანეთთან ურთიერთობის გაწყვეტამდე და ადრიატიკის ზღვაში ჩვენი ფლოტის ვლერის ბაზის დაკარგვამდე, ჩინეთის „ხრუშჩოვულ რევიზიონისტებთან“ ურთიერთობის გაწყვეტამდე.

ხრუშჩოვის სახელგანთქმული მოხსენება პარტიის XX ყრილობაზე? საერთოდ ესაა მონაჩმახების, სიცრუისა და ცილისწამების კრებული თავიდან ბოლომდე. წაიკითხეთ იგი — მოხსენება ადვილად შეიძლება მონახო ინტერნეტში...

ერთ წიგნში თქვა ყველაფერი სტალინზე სრულიად შეუძლებელია. მაგრამ შექმნა პირველი შთაბეჭდილება ამ სახელმწიფო მოღვაწეზე, რომელმაც ასე ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ქვეყნისთვის, შეიძლება. ეს წიგნი სტალინის პირველი გაცნობისთვისაა, მათთვის, ვისაც ეს ჯერ არ გაუკეთებია. თუ, როდესაც მას წაიკითხავთ თქვენ, პატივცემულო მკითხველებო, გახსნით მემუარებს, აიღებთ ხელში სხვა ლიტერატურას, მიძღვნილს სტალინისადმი — მაშასადამე, მე იგი ამაოდ არ დამიწერია.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

დასასრული. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-150, 154, 156, 157-160, 164, 166-167

გიორგი ალიბეგაშვილი:

კონკურსი „თბილისი“ აერთიანებს ნიჭიერთა შემოქმედებას

თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“ თვეზე მეტია მონაწილეობის მსურველთა ნამუშევრებს იღებს. საზოგადოებისთვის კონკურსის ისტორიისა და გეგმების უკეთ გასაცნობად თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი საუბრობს.

— თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“, ჩვენი შემოქმედებითი საზოგადოების ნამუშევრების, ნაფიქრისა და ნააზრევის წარმოჩენის მიზნით დავაარსეთ. ის სხვა კონკურსებისგან განსხვავებით არის მრავალდარგოვანი, რადგან აერთიანებს: პროზას, პოეზიას, ფერწერას, ქანდაკებას, არქიტექტურას, სიმღერასა და ფოტოხელოვნებას. ამასთანავე, სპეციალურად ჩვენი მოზარდი თაობისათვის გვაქვს ესეების ნომინაცია, რომლის თემატიკაც ყოველწლიურად ცვალებადია. თუ 2015 წელს ესეს ნომინაცია მივუძღვენით უშუალოდ თბილისს, 2016 წელს კი — შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს, 2017 წლის საკონკურსო თემატიკად განვსაზღვრეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება და „ილიას საქართველო“

— კონკურსის სახელწოდებიდან გამომდინარე, მხოლოდ თბილისიდან იღებთ კონკურსანტების ნამუშევრებს თუ რეგიონებიდანაც?

— ჩვენ არ შევზღუდეთ არავინ, არც რეგიონებიდან და მეტსაც გეტყვით, ვთხოვეთ დიასპორის სამინისტროს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისთვისაც მიეწვდინათ ინფორმაცია კონკურსის შესახებ.

შედეგად, ყველანი ძალიან გახარებული ვართ, რადგან ფერწერის ნომინაციაში გაიმარჯვა ესპანეთში მცხოვრებმა ქართველმა მხატვარმა ლიკა შხვაცაბაიამ,— ნაწარმოებით „შეხვედრა ოაზისში“.

— რა პრინციპით არჩევთ ხოლმე კონკურსის ჟიურის და წლევანდელი წევრების ვინაობა როდის გახდება ცნობილი?

— კონკურსის ჟიური არის წარმომადგენლობითი, ყოველთვის ვიწვევთ დიდ ხელოვანებს, თუმცა წინასწარ წევრების ვინაობას საიდუმლოდ ვინახავთ, რათა იყვნენ თავისუფლები გარკვეული გავლენისაგან და სუფთა თავიანთ არჩევანში. ამ პირობას ისიც ემატება, რომ თითოეული ნამუშევარი, იქნება ეს წერილობითი თუ ხელოვნების სხვა ნიმუში, არის ანონიმური. ჟიურის წევრებამდე ნამუშევრები მათთვის მინიჭებული სპეციალური კოდით მიდის და სწორედ ამიტომ, ამ კუთხით უკმაყოფილება არცერთხელ გვქონია, ვართ დაცული მიკერძოების შესაძლებლობისგან და შენიშვნაც დღემდე არ მიგვიღია. ცხადია, ეს გამჭვირვალობა მეტი სტიმული იქნება მათთვის, ვინც ამ კონკურსში გაიმარჯვებს.

— იყო თუ არა ეს კონკურსი რომელიმე გამარჯვებულისათვის წინსვლის და პოპულარობის მომტანი?

— რა თქმა უნდა, ასეა. მართალია, ბევრი მათგანი, ვინც მოვიდა ჩვენთან და წარმოადგინა თავისი ნაშრომი, იყო გამოცდილი შემოქმედი, მაგრამ ბევრისთვის იყო პირველი ნაბიჯი. ჩვენი კონკურსის მიზანიც ეს გახლავთ, რომ ახალი სახეები გამოვაჩინოთ. ვფიქრობ, გარკვეულწილად, ამ მიზანს უკვე მივაღწიეთ.

ამ საკითხში 2015 წელს დაგვეხმარა ჟურნალი „ცისკარი“ და დაბეჭდა გამარჯვებული ნომინანტების ნაშრომები თუ მათი ამსახველი ფოტომასალა.

თვითონ ჟურნალი „ცისკარი“ თბილისის მერის დავით ნარმანიას მხარდაჭერით აღდგა, ორი წლის წინათ. ეს არ არის მხოლოდ ჟურნალი, ეს გახლავთ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაც, იმიტომ, რომ 1952 წლიდან გამოდის და ის ფაქტობრივად ისტორიული მემკვიდრეობის განგრძობაა.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულთა ნაწარმოებებს ვბეჭდავთ როგორც ქართულ, ისე აფხაზურ და ოსურ ენებზე და გამოცემას ვაგზავნით როგორც სოხუმში, ისე ცხინვალში.

ამით ჩვენ მოვუწოდებთ აფხაზ და ოს თანამოძმეებს, რომ მათაც მიიღონ მონაწილეობა ამ პროექტში. სამწუხაროდ, მათ ჯერ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა გვაქვს კავშირი და ვფიქრობთ, რომ 2017 წლის კონკურსში „თბილისი“ ჩაერთვებიან.

— გარდა „ცისკრის“ გამოცემაში დაბეჭდვისა, კიდევ როგორ აწვდენთ ინფორმაციას საზოგადოებას გამარჯვებულთა შესახებ?

— 2015 წელს „ცისკარი“ ამოგვიდგა მხარში და დაბეჭდა გამარჯვებულთა ნაშრომები. ახლა უკვე ცალკე კრებულის სახით მწერლის ირაკლი შამათავას რედაქტორობით გამოვეცით 2016 წლის კონკურსის ნომინირებული და გამარჯვებული ავტორები, ვფიქრობთ, რომ ბევრად უკეთესი ვარიანტია რჩეული ნაშრომების დაბეჭდვისა.

— რა ტიპის ცვლილებებს გეგმავთ?

— გვინდა, რომ საკონკურსო არეალი გავაფართოოთ მთელი კავკასიის მასშტაბითაც კი. ამის რესურსები უნდა გამოვნახოთ, იმიტომ, რომ ბევრი გვედგა მხარში, ფირმა იქნებოდა ეს თუ რომელიმე კერძო უწყება. ძალიან საინტერესო პრიზები დაააწესეს და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ამ კულტურული ელემენტის რაც შეიძლება ფართოდ წარმოჩენა, ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადავდგით.

— დაჯილდოების ცერემონიისთვის თუ გაქვთ კონკრეტული გეგმები?

— კონკურსის „თბილისი“ გამარჯვებულთა დაჯილდოება თბილისობის დღესასწაულზე იმართება. ჩვენმა ერთერთმა გამორჩეულმა და დიდმა შემოქმედმა, ბატონმა გია ჯაფარიძემ გაგვიკეთა ხოხბის პატარა ქანდაკება, რომელსაც გამარჯვებულებს გადავცემთ.

ახლა ვართ გადასული ძალიან საქმიან ეტაპზე. გვაქვს შეხვედრები, როგორც შემოქმედებით ჯგუფებთან, ასევე სპონსორებთან. ვინაიდან მათი მხარდაჭერა ჩვენთვის, როგორც ნებისმიერი მსგავსი კონკურსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობთ, რომ ეს იქნება ერთ-ერთი საზეიმო დღე, რომელიც თბილისობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდება და მესამე წელსაც დაიკავებს კუთვნილ, შესაფერის ადგილს.

ცერემონიაზე მოწვეული გვეყოლებიან როგორც წინა წლების ჟიურის წარმომადგენლები, ასევე ჟიურის ახალი წევრები, ამავდროულად, 2015-2016 წლის კონკურსის გამარჯვებულები და, რა თქმა უნდა, ჩვენი ქალაქის და არა მხოლოდ ჩვენი ქალაქის თვალსაჩინო მოღვაწეები. ბუნებრივია, რომ ეს შესაბამის საზეიმო იერსახეს შეიძენს.

— თქვენთვის რას ნიშნავს ეს კონკურსი და რას ურჩევდით წლევანდელ მონაწილეებს?

— ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“ უკვე მესამე წელია მიმდინარეობს და ჩემი დიდი სურვილი იქნება საკრებულომ ეს ნიშა, რომელსაც ჩვენ — მეხუთე მოწვევის საკრებულო ვიკავებთ — არ დაკარგოს. იმიტომ, რომ ნამდვილად შედეგის მომტანია და წაადგება ჩვენი საზოგადოების კონსოლიდაციას, ერთსულოვნებას, კულტურაზე ფიქრსა და ზრუნვას, რომელიც ქართველი ერის განუყოფელი ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ კონკურსანტებმა უკვე დაიწყეს ნამუშევრების გამოგზავნა.

მოვუწოდებ ყველას, რომ იყვნენ უფრო გაბედულები, რადგან არც ასაკი და არც თემატიკა შეზღუდული არ არის.

მთავარია, რომ ჩანდეს ნიჭიერება და შემოქმედებითი სული, რომელსაც ჩვენ ყოველთვის დიდი ინტერესით ვეცნობით და ველოდებით.

აშშ რუსეთის მოქალაქეებზე არასაიმიგრაციო ვიზების გაცემას აჩერებს

„რუსეთის ფედერაციის მიერ ამერიკული დიპლომატიური მისიის თანამშრომლების შემცირების გამო 23 აგვისტოდან რუსეთის მოქალაქეებისთვის არასაიმიგრაციო ვიზების გაცემა შეჩერდება. 1 სექტემბრიდან პროცედურა მხოლოდ მოსკოვში განახლდება, სხვა რეგიონებში კი გაურკვეველი ვადით იქნება შეჩერებული,“ — აღნიშნულია საელჩოს განცხადებაში.

„ჯონ მაკკეინი“ ნავთობის ტანკერს შეეჯახა

ამერიკის შეერთებული შტატების სარაკეტო გამანადგურებელი „ჯონ მაკკეინი“ სინგაპურთან, მალაკის სრუტეში ლიბერიის დროშის ქვეშ მოძრავ ნავთობის ტანკერს შეეჯახა. სამხედრო გემი სინგაპურის პორტში მიემართებოდა. არსებული ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად 5 მეზღვაური დაშავდა, 10 კი დაიკარგა. ამ დროისთვის მიმდინარეობს მეზღვაურების ინტენსიური ძებნის ოპერაცია.

მსოფლიოში ტურისტებისთვის ყველაზე არაპოპულარული ადგილი დასახელდა

ტურისტებისთვის ყველაზე არაპოპულარული ადგილი მსოფლიოში ტუვალუს სახელმწიფოა, რომელიც პოლინეზიაში მდებარეობს. ამის შესახებ Daily Mail წერს. 2016 წელს ტუვალუმ მხოლოდ ათასი ტურისტი მიიღო. მეორე ადგილზე არაპოპულარული ქვეყნების რეიტინგში კირიბატის რესპუბლიკაა, რომელსაც გასულ წელს 4 ათასი ტურისტი სტუმრობდა, მესამე პოზიციას კი სან-ტომე და პრინსიპი იკავებს, სადაც გასულ წელს 8 ათასი ტურისტი ჩავიდა.

ჩინელ ახალგაზრდას ყურიდან ხვლიკი ამოუღეს

ახალგაზრდა მამაკაცის თქმით, ის დილით უსიამოვნო შეგრძნებამ გააღვიძა. „ვგრძნობდი, თუ როგორ მოძრაობდა ყურში რაღაც და ვიფიქრე, რომ ძილში ტარაკანი შემიძვრა. ტკივილმა იმდენად შემაწუხა, გადავწყვიტე ექიმთან მივსულიყავი. აღმოჩნდა, რომ მარცხენა ყურში ხვლიკი იყო შემძვრალი. ექიმებმა ხვლიკი გაჭირვებით ამომიღეს ყურიდან, თუმცა მას კუდი ჰქონდა მომძვრალი. სავარაუდოდ ის ყურში ჩამრჩა,“ — აცხადებს პაციენტი.

შროდერს „რუსეთის დაქირავებული“ უწოდეს

გერმანიის ყოფილ კანცლერს გერჰარდ შროდერს „როსნერფტის“ დირექტორთა საბჭოში შესვლის გამო სამშობლოში მკაცრად აკრიტიკებენ. კრიტიკული განცხადება ბავარიის ქრისტიან-სოციალისტთა კავშირის თავმჯდომარემ ანდრეას შოიერმა გააკეთა. ანდრეას შოიერმა შროდერს „რუსეთის დაქირავებული“ უწოდა.

„ყოფილი კანცლერი შროდერი რუსეთის მიერ არის დაქირავებული. რუსულ ენერგოგიგანტში მისი დასაქმება ამის ნათელი დადასტურებაა. აქ პოლიტიკისა და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრასთან გვაქვს საქმე,“ — აღნიშნა შოიერმა.

შეტყობინება ტენდერის გამოცხადების შესახებ

(სტანდარტული ფორმა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში) საერთაშორისო ტენდერი (სამშენებლო სამუშაოები)

საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაცია

საქართველო

საქართველომ (შემდგომში მსესხებელი) ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან მიიღო სესხი (შემდგომში „ბანკი“) საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის განსახორციელებლად. მოწვევა საერთაშორისო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უკავშირდება კონტრაქტს E-70 ავტომაგისტრალის გრიგოლეთი-ქობულეთის გზის მონაკვეთის მშენებლობისათვის კმ 00+000 – კმ 14+000 (ლოტი I), რომელიც მტკიცდება ბანკის მიერ.

კონტრაქტი მოიცავს გრიგოლეთი-ქობულეთის ოთხზოლიანი ავტომაგისტრალის ახალ მშენებლობას, რომლის მთლიანი სიგრძე შეადგენს 14 კმ–ს. ავტომაგისტრალის პროექტი მომზადდა და გზა აშენდება საქართველოსა და TEM სტანდარტების შესაბამისად.

კონტრაქტი განხორციელდება 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრამდე.

ქვემოთ მოცემულია სატენდერო წინადადებების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

1) **ფინანსური მოთხოვნები**

ა) მოთხოვნა- აუდიტორული ბალანსის წარდგენა ან თუ არ მოითხოვება განმცხადებლის ქვეყნის კანონით დამოწმებული ბუღალტრის დამტკიცებული სხვა დამსაქმებელი და დამსაქმებელს მისაღები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, რათა წარმოაჩინოს პრეტენდენტის ფინანსური მდგომარეობის ამჟამინდელი სიმტკიცე და მისი პერსპექტიული გრძელვადიანი მომგებიანობა. **შესაბამისობის მოთხოვნები - ერთეული** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, თითოეული პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას.

ბ) მოთხოვნა- ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღწეული ან დასრულებული კონტრაქტებით გათვალისწინებული მთლიანი სერტიფიცირებული გადასახდელების გამოანგარიშებული 100 მილიონი ევროს საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა: 2012, 2013, 2014, 2015, 2016 დაყოფილი 5 (ხუთ) წელზე. **შესაბამისობის მოთხოვნები -** ერთეული უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, **კომბინირებული ყველა პარტნიორი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, **თითოეული პარტნიორი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას 25%-ით და ერთი პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის 50%-ით.

2) **მშენებლობის გამოცდილება**:

მონაწილეობის მიღება 2 ხელშეკრულებაში, რომელიც ერთი წარმატებით დასრულდა და მეორე ბოლო 5 წლის განმავლობაში ფაქტიურად დასრულდა, 2012 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარდგენის ბოლო ვადამდე და ეს შეესაბამება შემოთავაზებულ სამუშაოებს, სადაც მონაწილეობის ღირებულება 80 მილიონ ევროს (ოთხმოცი მილიონი ევრო) აღემატება, რომელთაგან ერთი მაინც უნდა განხორციელდეს AASHTO, EU Codes, ბრიტანული სტანდარტებით ან ანალოგიური და მინიმუმ ერთი ხელშეკრულება, რომელიც დაფინანსებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, როგორიცაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA) მსოფლიო ბანკის (WB), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და ა.შ.

პრეტენდენტის მონაწილეობის მსგავსება ეფუძნება ფიზიკურ ზომას, სამუშაოების ბუნებას, სირთულეებს, მეთოდებს, ტექნოლოგიას ან სხვა მახასიათებლებს, რომლებიც აღწერილია მე -6 ნაწილში დამსაქმებლის მოთხოვნებთან. **შესაბამისობის მოთხოვნები -** ერთეული უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, კომბინირებული ყველა პარტნიორი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას.

3) **მშენებლობის გამოცდილება შემდეგ ძირითად ღონისძიებებში:**

ა) მოთხოვნა- ზემოაღნიშნული ან სხვა კონტრაქტები რომელიც განხორციელდა ზემოთადნიშნულ პერიოდში, მინიმალური სამშენებლო გამოცდილება შემდეგ ძირითად საქმიანობაში:

- **მიწის სამუშაოები** - 1 500 000 მ 3 ერთ წელში (უწყვეტი თორმეტი თვის ვადა)
- **ასფალტ ბეტონის ახალი გზის მშენებლობა** - 200 000 მ2 ერთ წელიწადში (უწყვეტი თორმეტი თვის განმავლობაში)
- **ახალი ხიდის მშენებლობა**- 10 000 მ2 ერთ წელიწადში (უწყვეტი თორმეტი თვის განმავლობაში)

შესაბამისობის მოთხოვნები - ერთეული უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, **კომბინირებული ყველა პარტნიორი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს.

ფირმები ტენდერში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით http://www.eib.org/projects/publications/guide-to-procurement.htm

დაინტერესებულმა მონაწილეებმა დეტალური ინფორმაციასა და სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ:

ბატონი ზაზა სიმონია ან ბატონი ნიკოს პაპუნიდი
მისამართი: ალ ყაზბეგის 12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 37 05 08 შიდა: 311
ფაქსი: (+995 32) 37 66 03
ელ–ფოსტა: info@georoad.ge
n.papunidi@gmail.com

სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტის შეძენა ელექტრონულ ფორმატში შესაძლებელია აპლიკაციის წარდგენისას ზემოხსენებულ მისამართზე სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარი ან დოლარში მისი ექვივალენტის გადახდის შემდეგ, შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ლარის გადარიცხვისთვის:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

დოლარის გადარიცხვისთვის:
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207

გადახდის აღნიშვნა: სატენდერო მოსაკრებელი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის – გრიგოლეთი–ქობულეთის გზის მონაკვეთის (ლოტი I) მშენებლობისათვის პროექტის სახელწოდების მითითებით. მოთხოვნის შემთხვევაში, ფაქსით გამოგზავნილი დოკუმენტის საუძველზე, სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლებელია გაიგზავნოს კურიერის მეშვეობით მონაწილის ხარჯებით. მსესხებელს არ გააჩნია პასუხისმგებლობა დოკუმენტაციის დანიშნულების ადგილას მისვლაზე.

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 3,500,000 ლარი (სამი მილიონ ხუთასი ათასი ლარი) ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის თანხის ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში განისაზღვრება გაცვლითი კურსით, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ–გვერდზე www.nbg.gov.ge სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადამდე 28 დღით ადრე.

სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინოთ დალუქული კონვერტებით წარწერით: „გრიგოლეთი- ქობულეთი გზის მონაკვეთის ლოტი I-ის მშენებლობა“ არაუგვიანეს 3 ოქტომბერი, 2017, 17:00 საათამდე ადგილობრივი დროით, შემდეგ მისამართზე: ალ ყაზბეგის გამზირი 12. 0160, თბილისი, საქართველო. სატენდერო წინადადებები გაიხსნება დაყოვნებლივ, მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

STANDARD FORM OF THE PROCUREMENT NOTICE IN THE OFFICIALJOURNAL OF THE EUROPEAN UNION (OJEU)

INTERNATIONAL INVITATION FOR TENDERS (WORKS)

Georgia Transport Connectivity

GEORGIA

Georgia (hereafter referred to as "the Borrower") has received a loan from the European Investment Bank - EIB (hereafter referred to as "the Bank") - towards the cost of the Georgia Transport Connectivity Project. This International Invitation for Tenders relates to the contract for Construction of Grigoleti – Kobuleti Bypass Road Section Km 00+000 – Km 14+000 of E-70 Highway (Lot I) which will also be subject to approval by the Bank.

This contract will include the new construction of four-lane Grigoleti - Kobuleti Bypass with the total length of 14 km. The Highway is designed and shall be constructed in accordance with the Georgian standard and TEM standard.

This Contract is expected to be implemented from November 2017 to November 2019 subject to EIB approval of this sub-project.

The basic criteria to be used in tender evaluation, are in decreasing order of importance:

1) Financial Requirements:

a) **Requirement-** Submission of audited balance sheets or if not required by the law of the Applicant's country, other financial statements approved by certified accountant and acceptable to the Employer, for the last five (5) years to demonstrate the current soundness of the Bidder 's financial position and its prospective long term profitability. **Compliance Requirements- Single Entity** must meet requirement and in case of Joint Venture (JV), **Each Partner** must meet requirement.

b) **Requirement-** Minimum average annual construction turnover of **EUR 100 million (One Hundred Million EUR)** calculated as total certified payments received for contracts in progress or completed within the last **5 (five)** years: 2012, 2013, 2014, 2015, 2016 divided by five (5) years. **Compliance Requirements- Single Entity** must meet requirement and in case of JV, **All Partners Combined** must meet requirement, **Each Partner** must meet 25% of the requirement and **One Partner** must meet 50% of the requirement.

2) Construction Experience:

a) **Requirement-** Participation in at least 2 two contracts that one has been successfully completed and one substantially*[1] completed within the last 5 five years, starting from 1st January 2012 until application submission deadline and that are similar to the proposed works, where the value of the Bidder's participation exceeds EUR 80 million (Eighty million EUR), of which at least one contract should be implemented in line with AASHTO, EU Codes, British standards or similar and at least one contract - funded by international financial institutions such as European Investment Bank (EIB), Japan International Cooperation Agency (JICA) World Bank (WB), Asian Development Bank (ADB), European Bank for Reconstruction and Development (EBRD) etc.

The similarity of the Bidder's participation shall be based on the physical size, nature of works, complexity, methods, technology or other characteristics as described in Section 6, Employer's Requirements. **Compliance Requirements- Single Entity** must meet requirement and in case of JV, **All Partners Combined** must meet requirement.

3) **Construction Experience in Key Activities**

a) **Requirement-** For the above or other contracts executed during the period stipulated in above, a minimum construction experience in the following key activities:

- **Earthwork-** 1 500 000 m^3 in one year (continuous twelve-month period)
- **Construction of new road with asphalt concrete pavement-** 200 000 m2 in one year (continuous twelve-month period)
- **Construction of new bridge-** 10 000 m2 in one year (continuous twelve-month period)

Compliance Requirements- Single Entity must meet requirement and in case of JV, **All Partners Combined** must meet requirements.

All firms are invited to participate in the tender in accordance with the EIB Guide to Procurement h

Interested eligible Bidders may obtain further information from, and inspect the Bidding Documents at:

To Mr. Zaza Simonia cc Mr. Nikos Papunidi
Adress: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge
n.papunidi@gmail.com

A complete set of Bidding Documents in an electronic form may be purchased on the submission of an application to the above address, and upon payment of a non-refundable fee GEL 200 or equivalent in USD to:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department for the Construction of Grigoleti-Kobuleti Bypass Lot I bearing the name of the project. On request, against a faxed copy of the evidence of the remittance, the Bidding Documents may be sent by courier service if the transport is previously ordered by the Bidder in his country. The Borrower bears no responsibility for the delivery in such a case.

A Bid Security GEL 3,500,000 (Three Million Georgian Lari) or equivalent amount in a freely convertible currency. For the purpose of determining the equivalent amount of the required Bid Security in a freely convertible currency, the exchange rates published by w prevailing on the date 28 days prior to the deadline for bid submission shall be applied. Fulfilling the conditions indicated in the Bidding Documents must accompany all bids.

All bids must be delivered in closed envelopes bearing the mention "Bid for the Construction of Grigoleti-Kobuleti Bypass Lot I" no later than 3 October, 2017 17:00 local time at the following address 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia. Bids will be opened immediately in the presence of Bidders' representatives who choose to attend.

[1] *In case the amount of the total payments under the contract equal or exceed 90% of the contract amount, the contract will be considered to be substantially completed

◎ იმედი ხვალის...

აი, ვინ მოდის მომავლიდან!

შეიძლება მეტოქესთან ტაქტიკური, ფიზიკური და სხვა მრავალი სახის დუელი დათმო, მაგრამ არის კომპონენტი, რომელიც მთების გადადგმაში დაგეხმარება.

საუბარია ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე, რომელიც სპორტული გმირობის მარადიული მეკავშირეა.

სასიამოვნოა, რომ უტეხი სული საქართველოს 16-წლამდელ ჭაბუკთა ნაკრებს აღმოაჩნდა, საკუთარ თავზე გადახტომა კი ევროპის ჩემპიონატის ელიტაში – „ა“ დივიზიონში დაბრუნებით დაგვირგვინდა!

„ბ“ დივიზიონის სტარტზე ბრიტანელთაგან ნაგემი 27-ქულიანი ნოკდაუნი ბევრს გამოიყვანდა წყობილებიდან, მაგრამ უმცროს „ჯვაროსანთა“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ასეთი ალიყურის შემდეგ, პირიქით, უფრო შეკავშირდნენ და სამშობლოში თავაწეულნი დაბრუნდნენ.

სიმბოლურია, რომ ჩვენმა გუნდმა გადამწყვეტი სარევანშო ბრძოლა სწორედ ნისლიანი ალბიონის წარმომადგენლებს მოუგო – 64:63, თანაც ამჯერადაც ყველაფერი კატასტროფულად დაიწყო – 4:20(!) პირველი პერიოდის შემდეგ.

მართალია, თანდათან ბიჭებმა მდგომარეობა გამოასწორეს და ბოლო მეოთხედის წინ ფეიქრიშვილ-ანდრონიკაშვილის (ეს უკანასკნელი ტურნირის სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა) დუეტის ძალისხმევით დაწინაურდა კიდეც – 52:45, მაგრამ კუნძულელებმა მორიგი გაქცევა მოაწყვეს და საფინალო სასტვენამდე 20 წამით ადრე, ერთი შეხედვით, უიმედო მდგომარეობაში ჩაგვაგდეს – 56:62. სწორედ ამის შემდეგ მოხდა ის სასწაული, რომელმაც ზემოთ შემოთავაზებული სტრიქონები დაგვაწერინა.

ბუნებრივია, კომპონენტებს აღნიშნული წარმატების თითოეული შემოქმედი იმსახურებს, მაგრამ განსაკუთრებულად მაინც ახალგაზრდა თავკაცის ბუბა ბერიშვილის ღვაწლი მიგვაჩნია, რომელმაც საამაყო შედეგით უპასუხა კალათბურთის ფედერაციის მიერ გამოცხადებულ ნდობას.

მადლობთ, ქართველნო!

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ვეტერანთა „ოქრო-ვერცხლი“



ოთხი ქართველი მონაწილეობდა ესპანურ საბადელში დასრულებულ ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატში. 65 წელს გადაცილებულ ქალებში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა ცხრა შესაძლებლობიდან 5.5 ქულას მოუყარა თავი და კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილებზე რუსები ელენა ფატალიბეკოვა (4) და ირინა კაბანოვა (3) გავიდნენ.

დიდოსტატმა თამაზ გიორგაძემ ამავე ასაკში 7 ქულით ვერცხლის მედალი დაიმსახურა. 7.5 ქულით პირველი იყო ნილს-გუსტაფ რენმანი (შვედეთი), ხოლო 6.5 ქულით ევგენი ვასიუკოვმა (რუსეთი) მესამე ადგილი დაიკავა.

50 წელს გადაცილებულებში ზურაბ სტურუა (5.5 ქულა) და ციალა ქასოშვილი (4.5) მე-9 ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

ლაშა დიდია

◎ კრივი

კლიჩკოების ტურნირზე

საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეთა ნაკრები (მწვრთნელები – ბეჟან ჭიჭინავა, გოჩა რუსია, ილია ტლაშაძე) უკრაინულ ბერდიჩევში გამართულ ძმები კლიჩკოების სახელობის A კლასის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. 10 ქვეყნის წარმომადგენლებთან პაექრობაში მათ ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი დაიმსახურეს.

49 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს ჯილდო ერგო თბილისელ სახილ ალახვერდიევს, რომელმაც ზედიზედ სამ მეტოქეს სძლია - მასპინძელ ედუარდ ტროფიმენკოს, სომეხ ერიკ თოხიანს და უკრაინელ ელმირ ნაბიევს.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ახალქალაქელი არტემ იორდანიანიც (91 კგ). ოქროს მედლისთვის პაექრობაში მან ყაზახ ნურტილეკ სადაკბაის (მე-2 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით), უკრაინელ ანტონ ანტონოვსა და ფინელ კრენარ ალიუს აჯობა.

52 კილოში მონაწილეთა სიმცირის გამო მეოთხედფინალში მოწინააღმდეგე არ ჰყოლია გუჯა მექვაბიშვილს. ნახევარფინალში მან დაძაბულ პაექრობაში 3:2 მოუგო თურქ აზად დემირხანის, ხოლო გადამწყვეტი შეხვედრა სომეხ არტურ ბაზეიანთან წააგო. დანარჩენი ჩვენებურები – ბადრი ხუციშვილი (64), ოთარ ნავერიანი (60 კგ), გია თოთლაძე (56), საიფ-ისლამ მადიევი (69) და ილია მწარიაშვილი (81) კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

გივი გაგუა

◎ თაობა

უკრაინა ისევ ჩვენია

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ზედიზედ მეორედ მოიგო უკრაინაში გამართული ვიქტორ ბანიკოვის მემორიალი.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ნემსაძის შეგირდებმა ფინალში ამჯერადაც ისრაელის გუნდს სძლიეს – 4:1 (შარშან – პენალტების სერიაში).

გოლები ზურაბ დავითაშვილმა (2), გიორგი შალიკაშვილმა და ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანეს.

სხვათა შორის, ჭაბუკ „ჯვაროსანთა“ კაპიტანი დავითაშვილი 5 ბურთით ხსოვნის ტურნირის ბომბარდირი გახდა, ხოლო ლუკა ხარშილაძე საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

„წლეულს თანაბარი ბრძოლა არ გამოვიდა, რადგან ქართველთა უპირატესობა აშკარა იყო. გიორგი ნემსაძის გუნდმა პირველივე წუთებიდანვე დაამტკიცა, რომ ტურნირის უდავოდ საუკეთესო ნაკრებია. საქართველომ ბანიკოვის მემორიალის გამარჯვებულის ტიტული ღირსეულად დაიცვა“ – ვკითხულობთ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

გიორგი ზოთაძე

◎ ხელბურთი

ფრანგების ზეობა თბილისში

19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც თბილისის ოლიმპიურმა სასახლემ უმასპინძლა, 24 გუნდი ჩაება. გასული უქმეებისთვის მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს ოთხი გუნდი შემორჩა. როგორც მოსალოდნელი იყო, ოქროს მედლები ფრანგებმა მოიპოვეს, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ესპანელები და დანიელები გავიდნენ.

პირველი ნახევარფინალი ესპანელებსა და ხორვატებს შორის დაძაბულად წარიმართა. მატჩის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატრესობით მიმდინარეობდა და პირენეელებმა ერთი ბურთით მოიგეს – 13:12. შესვენების შემდეგ ესპანელებმა ანგარიშში სხვაობა კიდევ ერთი ბურთით გაზარდეს და 26:24 გაიმარჯვეს. ისინი მსგავსი ტურნირების ფინალში მეორედ გავიდნენ.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები და მსგავსი ტურნირების სამგზის გამარჯვებული დანიის გუნდი. ფრანგებმა A ჯგუფის ბოლო შეხვედრაში მეტოქეს 35:26 სძლიეს. სკანდინავიელთა დამარცხება მათ არც ამჯერად გასჭირვებიათ. 35:27 - ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

19 აგვისტო.

V-VIII ადგილებისთვის.

შვედეთი-იაპონია 34:28, პორტუგალია-რუსეთი 26:33.

ნახევარფინალები. ხორვატეთი-ესპანეთი 24:26, საფრანგეთი-დანია 35:27.

მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ადგილისთვის პაექრობაში დანიელებმა ხორვატებს დრამატული მატჩი მოუგეს – 30:29, ფინალში კი ფრანგებმა ესპანელებს აჯობეს 28:25 და ტიტული შეინარჩუნეს. სამფეროვანთაგან 13 ბურთით კილიან ვილემინო გამოირჩა, რომელიც ტურნირის **საუკეთესო მოთამაშედ** დაასახელეს. მსოფლიოს ჩემპიონატის ლაურეატები, ასევე, გახდნენ: **საუკეთესო მეკარე** – მაქსიმ პოპოვი (რუსეთი), **მარცხენა კუთხე** – ემილ იაკობსენი (დანია), **ხაზი** – ლუიშ ფრადე (პორტუგალია), **მარჯვენა კუთხე** – ედუარდ კემპი (საფრანგეთი), **მარცხენა მცველი** – ემილ ლარკე (დანია), **გამთამაშებელი** – იან სერანო ტარაფეტა (ესპანეთი), **მარჯვენა მცველი** – ივან მარტინოვიჩი (ხორვატეთი), **ბომბარდირი** – ტეიტურ ორნ ეინარსონი (ისლანდია, 66).

20 აგვისტო.

VII-VIII ადგილებისთვის.

პორტუგალია – იაპონია 34:26,

V-VI. შვედეთი – რუსეთი 26:25,

III-IV. დანია – ხორვატეთი 30:29,

ფინალი. საფრანგეთი – ესპანეთი 28:25.

დავძენთ, რომ სამშობლოში დროებით დაბრუნებულ ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრე ანპილოგოვს სპორტის რაინდის ორდენი გადაეცა და მისი სახელი ოლიმპიურ სასახლეს მიენიჭა.

ლექსო ცინცაძე

ფინანსური გამჭვირვალობა

საბუღალტრო „მინის სახლი“

მართალია, სამამულო ეკონომიკა რაიმე განსაკუთრებული მიღწევებით, მეტადრე განვითარების განსაკუთრებული ტემპით ვერ დაიტრაბახებს, სამაგიეროდ, ბიზნესს კიდევ ერთი ახალი მაკონტროლებელი უწყება უკვე ჰყავს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ჯერზე ეს გარემოება ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებითაა განპირობებული – საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებით, ქვეყნის კანონმდებლობა ამ ორგანიზაციის ქვეყნებში მოქმედ კანონმდებლობასთან დაახლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. მის თანახმად, ჩვენში კერძო ბიზნესში ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ახალი სტანდარტების შემოღებაა საჭირო. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული ახალი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური“ შექმნა, რომლის თავკაცად **იური დოლიძე** დაინიშნა.

რეფორმის განხორციელების ფარგლებში ახალი ელექტრონული პორტალი შეიქმნება, რომელზეც კერძო კომპანიები ვალდებული იქნებიან ფინანსური მაჩვენებლების წლიური მონაცემები განასაჯაროონ, რითაც ისინი ყველა დაინტერესებული უწყებისა თუ კერძო პირისთვის უპრობლემოდ ხელმისაწვდომი იქნება. ახალი წესით, კომპანიებმა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი IFRS ხარისხის აუდიტი უნდა ჩაატარონ და საგანგებოდ შექმნილი ვებ-პორტალ „Reportal.ge“-ზე უნდა დადონ.

– საფინანსო ანგარიშგება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კაპიტალის ბაზრის განვითარების, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისითაც, – აღნიშნა ახლადშექმნილი სააგენტოს თავმჯდომარემ იური დოლიძემ. – ის მნიშვნელოვანია ასევე როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისთვის, ასევე არასაბანკო სექტორისთვისაც. ამის შედეგად ბაზარზე სანდო საფინანსო ინფორმაცია სავსებით ხელმისაწვდომი გახდება.

2016 წელს ამოქმედებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი საწარმოები კატეგორიებად არიან დაყოფილნი, რომელთაგან თითოეულს ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტი აქვს. კერძოდ:

პირველი კატეგორიის საწარმოა ის, რომლის წლიური შემოსავალი 100 მილიონ ლარს, ხოლო აქტივების ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება, დასაქმებულთა რიცხოვნობა კი 250 კაცს აჭარბებს.

მეორე კატეგორიისაა ის საწარმო, რომლის წლიური შემოსავალი 25-100 მილიონი ლარის, აქტივების ღირებულება კი 10-50 მილიონი ლარის ფარგლებშია მოქცეული, ხოლო დასაქმებულთა ოდენობა 250 კაცამდეა.

მესამე კატეგორიას 2-20 მილიონი ლარის ყოველწლიური შემოსავლისა და 1-დან 10-მდე მილიონი ლარის ღირებულების აქტივების მფლობელი საწარმოები განეკუთვნება, სადაც 10-50 კაცია დასაქმებული.

მეოთხე კატეგორიაშია მოქცეული 2 მილიონ ლარამდე ყოველწლიური შემოსავლისა და მილიონ ლარამდე ღირებულების აქტივების მქონე საწარმოები, სადაც ათ კაცამდე მუშაობს.

დაბოლოს, **მეხუთე კატეგორიას განეკუთვნებიან საზოგადოებრივი დაინტერესების პირები (სდპ)**, კერძოდ, კომბანკები, სადაზღვევო და საფონდო ბირჟის წევრი, ასევე მიკროსაფინანსო კომპანიები.

აღნიშნული კანონის თანახმად, დიდმა კომპანიებმა აუდიტორების მიერ ჩატარებული ფინანსური შემოწმების შედეგები საზედამხედველო სამსახურში 2018 წლის 1 ოქტომბრამდე, საშუალო და მცირეებმა კი 2019 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა წარადგინონ და განასაჯაროონ.

– ეს მოთხოვნა მხოლოდ პირველი და მეორე კატეგორიის (დაახლოებით სამ ასეულ) კომპანიაზე ვრცელდება, მესამე და მეოთხე კატეგორიებისას კი ის არ ეხება, – ამბობს იური დოლიძე. – თანაც საგულისხმოა ისიც, რომ საფინანსო ანგარიშგების გასაჯაროების პრაქტიკა დიდი და საშუალო კომპანიების უმეტესობაში წლების მანძილზე უკვე ჩამოყალიბებულია, მათი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით კი ამაზე გაწეული ხარჯი უმნიშვნელოა.

ამდენად, ეს პროცესი ზოგისთვის კარგადაა ნაცნობი, ზოგსაც ახლო მომავალში მოუწევს მისი გაცნობა, მაგრამ დიდი ბიზნესის ავტორიტეტულ წარმომადგენელთა უმეტესი ნაწილის აზრით, ამან არავინ არ უნდა შეაშინოს, პირიქით, რაც მეტად იქნება გამჭვირვალე საფინანსო საქმიანობა, მით უფრო მეტი იქნება მეწარმეთა დაფასება.

ოთარ ტურაბელიძე

გამოსათხოვარი

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ლიხაურის საშუალო სკოლის (ოზურგეთის რაიონი) 1957-58 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები: ზაურ ცეცხლაძე, რუდიკო ლომჯარია, თამაზ ლომჯარია, რეზო ჭანიშვილი, როლანდ სალუქვაძე, შოთა სალუქვაძე, ჯუმბერ სალუქვაძე, რომან სალუქვაძე, გიზო ჭელიძე, გურგენ ლომჯარია, დარეჯან ჭანიშვილი, იზოლდა დონაძე, სესილია შავიშვილი, დარიკო მამინაიშვილი, ცისო სიორიძე, ციალა გორდელაძე, ცისანა სალუქვაძე, მედეა მგელაძე, ნანი სალუქვაძე და მზია ურუშაძე დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიკეთითა და ღირსებით რჩეული ადამიანი

გაიოზ ივანეს ძე სალუქვაძე

და დიდ თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლო ნათესავებს.

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული კ.ც. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 123 აბი და 5 ნატეხი „სუბოქსინი“, ასევე, 1 შეკვრად დაფასოებული, ჰეროინის შემცველი, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკი ამოიღეს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მათ მფლობელობაში არსებული საწარმოს მეშვეობით, 20 000 ლარის სანაცვლოდ, 196 690 ლარის ღირებულების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყალბი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწერეს. გაყალბებული დოკუმენტის მიხედვით, ჩასათვლელმა დამატებული ღირებულების გადასახადმა 30 003 ლარი შეადგინა.

საქმეზე გრძელდება გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

პეკინის ქუჩის „ცალმხრივი“ მოძაობა

რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ პეკინის გამზირზე საავტომობილო მოძრაობა, სავარაუდოდ, ცალმხრივი იქნება. თბილისის მერის დავით ნარმანიას თქმით, კვლევის მიმდინარე შედეგები აჩვენებს, რომ პეკინის ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობის მომხრე არიან როგორც მძღოლები, ისე ცალკეული მოქალაქეები, შესაბამისად, როგორც მერი ამბობს, ცალმხრივი მოძრაობის შემოღებას წინ ვერაფერი დაუდგება.

პეკინის ქუჩაზე ორ თვეზე მეტია, რაც სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რის გამოც ავტომობილები მხოლოდ ცალი მიმართულებით გადაადგილდებიან. ქუჩის რეაბილიტაცია 10 სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს, თუმცა, როგორც თბილისის მერი დავით ნარმანია ამბობს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქუჩის გახსნის შემდეგ ტრანსპორტის მოძრაობა ძველ, ორმხრივი მოძრაობის რეჟიმს დაუბრუნდება:

სატრანსპორტო ნაკადებს თვეებია აკვირდება მერიის ტრანსპორტის სამსახური, რომლის უფროსის მამუკა მუმლაძის თქმით, პეკინის ქუჩა საათში, დაახლოებით, 6 ათას ავტომობილს ატარებს და ამ მაჩვენებლით ერთ-ერთი ყველაზე გადატვირთული ქუჩაა თბილისში. მუმლაძე იმასაც ამბობს, რომ სარემონტო სამუშაოების გამო შემოღებულმა დროებითმა ცალმხრივი მოძრაობის სქემამ – პეკინის ქუჩა, შარტავა, კოსტავა – კარგი შედეგი გამოიღო მოძრაობის განმუხტვის თვალსაზრისით. ორიოდე კვირის წინათ რადიო თავისუფლებისთვის მიცემულ ინტერვიუში მამუკა მუმლაძემ განაცხადა, რომ მერია განიხილავს ცალმხრივი მოძრაობის შენარჩუნების ვარიანტს:

„თვითონ გზა არის 27 მეტრი სიგანეში. აქედან პარკირება იკავებს 5 მეტრს, დანარჩენი არის სავალი ნაწილი. ამიტომ ცალმხრივი მოძრაობის შემთხვევაში შესაძლებელია ერთ მხარეს გაკეთდეს ავტობუსების სამოძრაო ზოლი. ეს გამოიწვევს პარკირების შეზღუდვას. თუ გადაწყდება, რომ მეორე, საპირისპირო მხარესაც გაკეთდეს ავტობუსებისთვის ზოლი, რაც კომფორტული იქნება მოსახლეობისთვის, მაშინ იმას უნდა შევეგუოთ, რომ პარკირება შეიზღუდება. ეს არის სამსჯელო“.

პეკინის ქუჩის მომავალი უნდა გადაწყვიტოს არა პოლიტიკურმა ნებამ, არამედ ტექნიკურმა გაანგარიშებებმა, – ასე ფიქრობს ორგანიზაცია „ჰაბჯორჯიას“ წარმომადგენელი ვასილ ურუშაძე, რომლის თქმითაც, საგზაო მოძრაობის ინტენსივობის გარდა, ასევე ანგარიშგასაწევია ქვეითად მოსიარულეთა ინტერესები.

„განსაკუთრებული აქცენტი უნდა გავაკეთოთ ფეხით მოსიარულეებზე. ცენტრალური ქუჩები ძირითადად გადატვირთულია ქვეითებით და კომერციული ობიექტებით, ამიტომ ასეთ ადგილებში გზების გაცალმხრივება მიზანშეწონილი არ არის. ყოველივე ეს უნდა იყოს ადაპტირებული საზტრანსპორტზე, ადაპტირებული ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურაზე, ველობილიკებზე და ასე შემდეგ. როცა გზა ხდება ცალმხრივი, ყველაზე მეტი დისკომფორტი ექმნებათ ფეხით მოსიარულეებს“, **უთხრა ვასილ ურუშაძემ რადიო თავისუფლებას.**

თბილისის მერიაში კი აცხადებენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ მას შემდეგ, რაც დასრულდება ავტომობილების ნაკადთან დაკავშირებული ვითარების შესწავლა. პეკინის განახლებული ქუჩა 10 სექტემბერს უნდა გაიხსნას, შესაბამისად, მერიას გადაწყვეტილების მისაღებად ორიოდე კვირა რჩება.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

სოლიდური შემოსავალი ჯარიმების ხარჯზე

ნარჩენებით **გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ დადგენილ ჯარიმებს ორმაგი დატვირთვა აქვს — პირველ რიგში, ცხადია, ის გარემოს დაცვასა და შესაბამისი კულტურის დამკვიდრებას ისახავს მიზნად, მეორე მხრივ კი, ამ ღონისძიებას, ისევე როგორც სხვა საჯარიმო სანქციებს, გარკვეული ფისკალური ეფექტი აქვს. გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ჯარიმებისა და შესაბამისი კონტროლის ამოქმედების შედეგად, თბილისის ბიუჯეტმა საკმაოდ სოლიდური — ნახევარ მილიონ ლარზე მეტი — შემოსავალი მიიღო.**

მიმდინარე წლის განმავლობაში ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის, ჯამში, 1 594 პირია დაჯარიმებული. შპს „თბილსერვისჯგუფის“ ცნობით, საანგარიშო პერიოდში ჯარიმების საერთო თანხამ 551 070 ლარი შეადგინა. რაც შეეხება საჯარიმო ოქმებს, სამსახურის ინფორმაციით, ყველაზე მეტი საჯარიმო ოქმი 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით, კერძოდ, სიგარეტის ნამწვით გარემოს დანაგვიანებაზე შედგა, რაც 80-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

დაჯარიმებულთაგან 1 026 პირი უცხოელია.

რაც შეეხება სამანქანო ეკიპაჟებს, რომლებიც ძირითადად ქუჩების სამშენებლო ნარჩენებით დანაგვიანებაზეა ორიენტირებული, „თბილსერვისჯგუფში“ აცხადებენ, რომ ეკიპაჟების მიერ მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე 475 ოქმია შედგენილი. აქედან 164იურიდიული პირი იყო. ამასთან, მათ მიერ გამოწერილმა ჯარიმებმა, ჯამში, 354 070 ლარი შეადგინა.

ნინო ევგენიძე

◎ ინტერნეტიდან

მოგონებანი გარდასულ დღეთა...

ორ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკაში მოღვაწე რუსმა, ყოფილმა ტანმოვარჯიშემ და შემდგარმა პორნოვარსკვლავმა საშა გრეიმ საქართველოში იმოგზაურა და მიუხედავად იმისა, რომ მისი ვიზიტი რუსული ბულვარული მედიით გაშუქდა, ქართველთა დიდმა ნაწილმა, ცხადია, არ იცოდა, ვინ იყო ეს ქალი და რაოდენი დარდი და სიხარული ჰქონდა მას ამქვეყნად ნანახი.

აი, როგორ იხსენებს საშა გრეის სტუმრობას სიღნაღის ერთ-ერთი რესტორნის თანამშრომელი, ბატონი გოგი: „მემწვადედ დავბერდი, შვილო. უკვე 70 წლისა მოვიყარე და რა არ მინახამს? რუსი ქალების ამბებს მე მასწავლით? ნიჟნი ნოვგოროდში ქალი მყავდა, ამბავი დაწყებული არა მქონდა, ის უკვე გახდილი წამოწვებოდა ხოლმე „კუშეტკაზე“, მაშ! მაგრამ პორნოვარსკვლავი ჩემ მწვად რომ შასჭამდა, აბა რას ვიფიქრებდი?

ჩვენს რესტორანში ექვსნი მოვიდნენ. იმათგან ქალი მარტო ორი იყო. საშას რო შავხედე, იმწამს მივხვდი, უბრალო ვინმე რომ არ იყო. შორტიკიდან ბარძაყები იგრე გადმოეყარა, ამოდენა კაცმა კინაღამ ხურუშიანივით ცუნდრუკი ავსტეხე. მკერდი კიდენა, გაუყიდავი და გადამწიფებული გორხანა ატამისეეფა ქონდა. უხმეე...

ჩემი შამწვარი მწვადი რო მიუტანეს, შამფურს ერთი პირი გასდო და იგრე კოხტად, პრაფესიონალურად გააცალა ჩიჩია — თქვენი მოწონებული. ქალს ხორცი ეგრე უყვარდეს, პირველათა ვნახე რა. უყვარდეს კაცო, ღმერთმა შაარგოს. თუმცა, შაერგო და ეგაა... წავედი ახლა, მივხედო საქმესა, თორემ იმ ამძუვნებულ საშა გრეიზე ფიქრი მარგებს მე? ვინცა ფიქრობს, რა ხეირი?..“

როსტომ რაჭველიშვილი

74 წლის დაკარგული ალპინისტი უვნებელი იპოვეს

ჩრდილოეთ **იაპონიის მთებში დაკარგული 74 წლის ალპინისტი მამაკაცი სახსალამათი ოპოვეს.**

ერთი კვირის განმავლობაში მთის მოტრფიალე, ასაკოვანი იაპონელი მხოლოდ წყლითა დ შოკოლადით იკვებებოდა. როგორც აღმოჩნდა მთაზე ასვლისას 1000 მეტრის სიმაღლეზე მას ფეხი დაუსხლტდა და ჩამოვარდა.

ერთკვირიანი ძებნის შემდეგ დაკარგული „მოხუცი ალპინისტი“ შვეულმფრენიდან შეამჩნიეს. ახლა მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, ალპინისტის არცთუ ახალგაზრდა ორგანიზზმა ამ გამოცდას გმირულად გაუძლო.

ჩინეთში პირველი ინტერნეტ-სასამართლო ამოქმედდა?

18 აგვისტოს **აღმოსავლეთ ჩინეთის პროვინცია ჯუძიანის დედაქალაქ ხანჯოუში პირველი ინტერნეტ-სასამართლო ამუშავდა. აქ განიხილავენ ინტერნეტით ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.**

ქალაქი ხანჯოუ ინტერნეტ-ვაჭრობის უდიდეს ცენტრად ითვლება მსოფლიოს მასშტაბით. აქ მდებარეობს საქვეყნოდ ცნობილი კომპანია „Alibaba“. სტატისტიკის მიხედვით მხოლოდ ჩინეთში 751 მილიონი ინტერნეტ-ვაჭრობის მომხმარებელია.

როგორც ირკვევა ყველა პროცედურის ჩატარება, სარჩელის შეტანიდან დაწყებული ვერდიქტის გამოტანით დამთავრებული ინტერნეტით იქნება შესაძლებელი.

შვეიცარიაში ხოჭოს ბურგერებს გაყიდიან

შვეიცარიულმა **სუპერმარკეტების ქსელმა „Coop“-მა აგვისტოს ბოლოსთვის ახალი სახის ბურგერების გამოშვება დააანონსა.**

როგორც აღმოჩნდა ბურგერის კოტლეტსა და გუფთას ხოჭოსგან დაამზადებენ. პროდუქტის შემქმნელები აცხადებენ, რომ ახალ ნაწარმს „Essento Insect Burgers“ (მწერების განსაკუთრებული ბურგერი) ძალიან დიდი საკვები ღირებულება აქვს. ხოჭოსთან ერთად არაორდინარულ კოტლეტში ყველი, სტაფილო და სხვადასხვა სანელებლები მოიყრიან თავს.

საკვებს, რომელიც მწერებისგან მზადდება უდიდესი პოტენციალი აქვს და წლის ბოლომდე ასორტიმენტს კიდევ უფრო გავამდიდრებთ — აცხადებენ „Coop“-ის წარმომადგენლები.

რამდენიმე დღეში, შვეიცარიაში მსგავსი ბურგერის დაგემოვნება 9,25 დოლარად იქნება შესაძლებელი.

„FORBES“-მა 2017 წლის მაღალშემოსავლიანი მსახიობი ქალები დაასახელა

ჟურნალმა „ფორბსმა“-2017 წლის იმ მსახიობი ქალბატონების ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა, რომელთაც წელს რამდენიმე მილიონი გამოიმუშავეს.

პირველ ადგილზე ფილმ „ლა-ლა ლენდის“ ვარსკვლავი, ოსკაროსანი ემა სთოუნი გავიდა, რომელმაც 26 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

მეორე ადგილზეა ჯენიფერ ენისტონი — 25,5 მილიონი დოლარით. მსახიობმა თანხის ძირითადი ნაწილი რეკლამებიდან მიიღო.

მესამე ადგილი, ასევე ოსკაროსან ჯენიფერ ლოურენს ეკუთვნის. იგი „დიორის“ სახეც გახლავთ და ჯამში 24 მილიონი გამოიმუშავა.

ათეულში შევიდნენ: მელისა მაკკარტი (18 მილიონი), მილა კუნისი(15 მილიონი), ემა უოტსონი (14 მილიონი), შარლიზ თერონი (14 მილიონი), ქეით ბლანშეტი (12 მილიონი), ჯულია რობერტსი (12 მილიონი), ემი ადამსი (11,5 მილიონი).

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3895; ევრო - 2.8067;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0808;
100 რუბლი - 4.0213; თურქული ლირა - 0.6774;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4056;
1000 სომხური დრამი - 4.9927.

ამინდი 22 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17 დღე +37
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +33
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +20, დღე +36
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +35
თბილისი: ღამე +22, დღე +35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge